საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 14 მარტი, 2013 წელი.

№47 (7174)

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

პრეზიდენტს და მის გუნდს უკან დასახევი გზა აღარ რჩებათ

⑨



პანიკურად გაქცეულმა სააკაშვილმა, რომელსაც რაღაცა მოელანდა, მთელი მსოფლიოს თვალწინ მოგვჭრა თავი. დაცვაც იძულებული იყო, დადევნებოდა. ერთ-ერთი უცხოური ტელეკომპანიის გადაღებულ კადრებში კარგად ისმოდა, როგორ უყვიროდა დაცვის ოფიცერი თავისზე წინ მორბენალ კოლეგებს „ფეხი დაუდეთ, მაგის დედაც მ....“..

ურაპატრიოტიზმი – ნაძირლების უკანასკნელი თავშესაფარი

④

მერაბიშვილს ისევ მოუნევს ძველი ამბების გახსენება

②

მაქინაციები ფოთის მერიაში გაშიფრულია

საქართველოს ენერგეტიკის პრობლემები და პერსპექტივები

⑥

სასურსათო უსაფრთხოება

ძეხვი, სოსისი, ქაბაბი...

⑧

საქართველო აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს „ნდობის ტელეფონს“ უმზადებს

⑧

პრეზიდენტზე მეტი პრეზიდენტი

⑤

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ებრაელი ბიზნესმენებისთვის გზა ხსნილია

საქართველო-ისრაელის ბიზნესფორუმი სასტუმრო „ჰოლიდეი ინში“ გაიხსნა. ფორუმის მონაწილეებს სიტყვით პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა მიმართა.

— ებრაელები მაქსიმალურად ინარჩუნებდნენ საკუთარ კულტურას და თვითმყოფადობას საქართველოში, ამავდროულად, მაქსიმალურად იცავდნენ საკუთარ რელიგიას. უნიკალურია ის, რომ საქართველოში, რომელიც პატარა, მაგრამ მრავალეროვანი ქვეყანაა, არავის არასოდეს შეუთვისებია ისე ქართული კულტურა, როგორც ებრაელ ხალხს. ამავდროულად, ისინი ხელშეუხებლად ინახავდნენ საკუთარ კულტურასა და ტრადიციებს. მოხარული ვარ, რომ ებრაელმა ხალხმა ბოლო ათწლეულებში დაიბრუნა საკუთარი სამშობლო ისრაელი. ვისურვებდი, სწრაფად დასრულებულიყოს ის დაპირისპირება და გაუგებრობა, რაც ისრაელის მიწაზე ხდება. თუმცა, ამავდროულად, ჩვენ გვაქვს ნოსტალგია და უნდა დავიბრუნოთ ჩვენი ებრაელები. საქართველო თქვენი სამშობლოა, — მიმართა ბიძინა ივანიშვილმა ისრაელიდან ჩამოსულ ბიზნესმენებს.

პრემიერ-მინისტრმა ყურადღება საქართველოში არსებულ დაბალ გადასახადებზეც გაამახვილა და აღნიშნა, რომ მდებარეობასთან ერთად საქართველოს კლიმატური პირობებიც გამოარჩევს.

— ამავდროულად, ჩვენი ეკონომიკა პრაქტიკულად აუთვისებელია და ეკონომიკის აღორძინება საქართველოში საწყის ეტაპზეა. ამიტომ ბიზნესმენმა აქ ბიზნესის დასაწყებად განსაკუთრებული სიიოლე შეიძლება მოიპოვოს. ყველაფერს გავაკეთებთ, იმისთვის, რომ მაქსიმალურად კარგი პირობები შეგიქმნათ, — აღნიშნა ბიძინა ივანიშვილმა.

პრემიერის ინფორმაციით, დაიწყება ზრუნვა ორ ქვეყანას შორის სავიზო რეჟიმის გამარტივებაზე, ასევე მიმოსვლის ღირებულების შემცირებაზე. ბიძინა ივანიშვილმა ბიზნესმენებს ინფორმაცია იმ თანაინვესტირების ფონდზეც მიაწოდა, რომელიც მისი ინიციატივით იქმნება.

ორდღიანი ბიზნესფორუმი „ჰოლიდეი ინში“ გუშინ გაიხსნა და დღეს დაიხურება. მათში ისრაელის 25 კომპანიის ექვსასზე მეტი წარმომადგენელი მონაწილეობს. შეხვედრას ქართველ ბიზნესმენებთან ერთად ესწრებიან ეკონომიკის, ფინანსთა და შს მინისტრები, ასევე საქართველოს საპარტნიორო ფონდის ხელმძღვანელი ირაკლი კოვზანაძე.

მინისტრებს ხელფასი შეუმცირდათ

პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით, მინისტრების ხელფასი 12%-ით მცირდება. ამის შესახებ ინფორმაციას პრემიერის პრესსამსახური ავრცელებს. პრემიერის პრესსამსახურის ცნობით, ხელფასებთან დაკავშირებით, გასულ წლებთან შედარებით, ბიუჯეტიდან გაცილებით ნაკლები თანხა დაიხარჯება და ეს ინფორმაცია საზოგადოებისთვის აბსოლუტურად გამჭვირვალეა.

ასევე, მთავრობა უარს ამბობს ყოფილი ხელისუფლების მიერ დამკვიდრებულ პრაქტიკაზე, როდესაც მინისტრები ყოველ თვეში, ან თვეში რამდენჯერმე, თვითონვე იწერდნენ პრემიებს.

მინისტრები ყოველთვიურად, ყოველგვარი სახელფასო დანამატით, ხელზე აიღებენ 6300 ლარს.

პრემია კი, პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით, წელიწადში ერთხელ გაიცემა.

◎ „საზღვარი“

მავთულხლართებით გაყოფილი სახლები და „საზღვრის“ მიღმა დარჩენილი სკოლა

რუსი მესაზღვრეები კონფლიქტის ზონის ქართულ სოფლებში მავთულხლართებით ეგრეთ წოდებული საზღვრის მონიშვნას აგრძელებენ. სოფელ ხურვალეთის შემდეგ მავთულხლართები გუგუტიანთკარსა და დვანშიც გამოჩნდა. ადგილობრივი მოსახლეობა შეშფოთებულია და ხელისუფლებას დახმარებას სთხოვს. სოფელ გუგუტიანთკარში ქეთევან გუგუტიშვილს მავთულხლართი ეზოში გაუბეს, სოფლის სკოლის შენობა კი ამ ეგრეთ წოდებული საზღვრის მიღმა აღმოჩნდა.

სოფელ ხურვალეთში 8 ოჯახს საერთოდ გადაადგილების პრობლემა შეექმნა. ორი კვირის წინათ ამ სოფლის მცხოვრები დავით ვანიშვილი მხოლოდ იმიტომ დააკავეს, რომ საკუთარი ეზოდან გარეთ გამოვიდა. ვანიშვილი, რომელიც მთელი ცხოვრება ქართულ სოფელში ცხოვრობდა, მოულოდნელად რუსების მიერ შემოვლებული მავთულხლართებით დე ფაქტო ხელისუფლების მიერ კონტროლირებად, ოკუპირებულ ტერიტორიაზე აღმოჩნდა. ვანიშვილი რამდენიმე დღე ცხინვალის ციხეში იმყოფებოდა, შემდეგ კი იმ პირობით გაათავისუფლეს, რომ ეგრეთ წოდებულ საზღვარს აღარ დაარღვევდა და სოფელში აღარ გავიდოდა. ამ სოფლის სასაფლაოც მავთულხლართების მიღმა აღმოჩნდა. ხურვალეთელები სასწრაფო რეაგირებას მოითხოვენ.

შიდა ქართლის გუბერნატორი ანდრო ბარნოვი ხურვალეთში, გუგუტიანთკარსა და დვანში ჩავიდა. მან საკუთარი თვალით ნახა რუსების მიერ გაბმული მავთულხლართები და ახალ ხელისუფლებას სასწრაფო რეაგირება მოსთხოვა. მისი აზრით, ივანიშვილის ხელისუფლება უპრინციპოდ და უპასუხისმგებლოდ იქცევა, როცა ასეთ საკითხზე განგაშს არ ტეხს.

ქართულმა მხარემ ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის ფარგლებში გამართულ შეხვედრაზე რუსულ და ოსურ მხარეს ამ ქმედებებზე განმარტება მოსთხოვა, მაგრამ, როგორც ქართული დელეგაციის წარმომადგენელი კახა ქემოკლიძე აცხადებს, არგუმენტირებულ პასუხს ვერავინ ეუბნება.

ერგნეთში მომდევნო შეხვედრა 18 მარტს გაიმართება, ქართული მხარე კი ამ საკითხს ისევ შეიტანს დღის წესრიგში.

გოგა აფციაური,
რადიო „თავისუფლება“.

◎ ინფორმაცია

მერაბიშვილს ისევ მოუწევს ძველი ამბების გახსენება

საქართველოს იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი არ გამორიცხავს, რომ სანდრო გირგვლიანის საქმესთან დაკავშირებით პროკურატურას ვანო მერაბიშვილთან რამდენიმე შეკითხვა ჰქონდეს.

— გირგვლიანის საქმის გამოძიება დასასრულს უახლოვდება, იკვეთება ბევრი სიახლე და ჩანს, რომ რეალურად ეს არ არის ერთი საქმე. ეს არის მრავალი ეპიზოდისგან და საქმისგან შემდგარი დიდი დოსიე, სადაც არაერთი კანონდარღვევა და სხვადასხვა სახელმწიფო პირისგან უპასუხისმგებლო ქმედება შეიძლება დაფიქსირდეს. მათ შორის ერთ-ერთი, სავარაუდოდ, იქნება ბატონი ვანო მერაბიშვილი, მაგრამ, თუ რა ხარისხით მონაწილეობდა ის გირგვლიანის საქმის გამოძიების არასწორად წარმართვის თემაზე, ან სხვადასხვა მოქმედი პირისთვის ხელის დაფარების საქმეში, მე როგორც იუსტიციის მინისტრი, ამაზე საუბრისგან თავს შევიკავებ და დაველოდები პროცესების განვითარებას, ვიდრე პროკურატურა საბოლოო დასკვნას არ გააკეთებს. ამასთან, საინტერესოა ისიც, როდის გაიგო მან იმის შესახებ, რა მოხდა სასაფლაოზე და როგორც ერთ-ერთმა პირველმა სამართალდამცველმა, ვინაიდან ის მაშინ იყო შს მინისტრის პოზიციაზე, რა მოიმოქმედა, რომ საქმე ეფექტურად გამოძიებულიყო. ეს არის მხოლოდ მოკლე შეკითხვები, რომელიც მის მიმართ გამოძიებას შეიძლება ჰქონდეს და, ალბათ, პროკურატურა ამ შეკითხვებს დასვამს, — განუცხადა თეა წულუკიანმა ჟურნალისტებს.

მთავარი პროკურორის არჩილ კბილაშვილის განცხადებით, სანდრო გირგვლიანის საქმესთან დაკავშირებით ვანო მერაბიშვილის „გარკვეული კავშირი, შემხებლობა და ინფორმირებულობა იკვეთება“.

— სანდრო გირგვლიანის საქმესთან დაკავშირებით გამოძიება დასასრულისკენ მიდის. ვანო მერაბიშვილის გარკვეული კავშირი, შემხებლობა და ინფორმირებულობა იკვეთება და შესაბამისად ამ საკითხზე პროკურატურა თავის დროზე ისაუბრებს. იგი, სავარაუდოდ, დაიკითხება, კონკრეტული დრო კი გამოძიებიდან გამომდინარე განისაზღვრება. ამ ეტაპზე მხოლოდ ეს შემიძლია ზოგადად გითხრათ, — განაცხადა არჩილ კბილაშვილმა.

მაქინაციები ფოთის მერიაში გაშიფრულია

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა საჯარო მოხელეთა მიერ ჩადენილი სამსახურებრივი გულგრილობის და დიდი ოდენობით სახელმწიფო თანხების გაფლანგვის ბრალდებით, პასუხისგებაში მისცეს ქალაქ ფოთის მერიის ინფრასტრუქტურისა და საზოგადოებრივი მომსახურების სამსახურის თანამშრომლები.

საგამოძიებო სამსახურის ინფორმაციით, პასუხისგებაში მიცემულები არიან: მერიის ინფრასტრუქტურისა და საზოგადოებრივი მომსახურების სამსახურის უფროსი დავით კომახიძე, მისი მოადგილე კონსტანტინე ადამია, განყოფილების უფროსი გიზო ხურცია, სამსახურის მთავარი სპეციალისტი ჯუნა სიჭინავა და ასევე, შპს „ინფრასტრუქტურა 2008“-ს დირექტორი ირაკლი დონდუა.

გამოძიებით დადგინდა რომ ფოთის სანიაღვრე არხების მოვლა-პატრონობაზე გამოცხადებულ ტენდერებში ერთპიროვნულად იმარჯვებდა მერიის მიერ დაფუძვნებული შპს „ინფრასტრუქტურა 2008.“

ოფიციალური ინფორმაციით, სამუშაოების ჩასატარებლად შპს-ს ჩაერიცხა 1 395 927 ლარი. მიუხედავად ამისა, ტენდერის პირობებით გათვალისწინებული სამუშაოები საწარმომ უხარისხოდ და არასრულყოფილად შეასრულა, ხოლო შეუსრულებელი სამუშაოები დოკუმენტაციაში შესრულებულად დააფიქსირა. საგამოძიებო სამსახურის ინფორმაციით, ამ დანაშაულებრივი ქმედებით დონდუამ 104 913 ლარი გაფლანგა, ხოლო საჯარო მოხელეებმა, მათ მიერ საქმისადმი გულგრილი დამოკიდებულებით და ფიქციური მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებით, ხელი შეუწყეს ამ ქმედებას.

მიმდინარეობს გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მეორე ნაწილით და 342-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც ითვალისწინებს 2-დან 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთას.

დაკავებულია ხელვაჩაურის გამგებელი და მისი მოადგილე

შსს-ს ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგებელი ლევან ლორთქიფანიძე და მისი მოადგილე ნოდარ შარაბიძე დააკავეს. შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მათ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება და სამსახურებრივი სიყალბის ჩადენა ედებათ ბრალად. გამოძიებით დადგინდა, რომ ლევან ლორთქიფანიძემ და ნოდარ შარაბიძემ ერთ-ერთ მეწარმეს მიანიჭეს უპირატესობა, რამაც სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა და სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დიდი ოდენობით ფინანსური ზიანი გამოიწვია.

კერძოდ, შსს-ს ცნობით, ერთ-ერთი კომპანიისგან, რომელიც ხელვაჩაურის რაიონის სოფელ თხილნარსა და ჭალნარში ასრულებდა კულტურის ცენტრისა და ბაგა-ბაღის სამშენებლო სარემონტო სამუშაოებს, დაუსრულებელი სამუშაოები ძველი რიცხვით ჩაიბარეს. მიღება-ჩაბარების დოკუმენტებში კი დააფიქსირეს როგორც დასრულებული სამუშაო და კომპანიას მთლიანი თანხა ჩაურიცხეს.

ინტერპრესი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის განცხადება

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია თავისი წესდების 47-ე მუხლის შესაბამისად აქვეყნებს იმ პირთა სიას, რომლებიც აკადემიკოსობის კანდიდატებად წამოაყენეს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრებმა, სამეცნიერო-კვლევითმა დაწესებულებებმა, საქართველოში ავტორიზებულმა უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა, სამეცნიერო საზოგადოებებმა.

კანდიდატის გვარი, სახელი	სპეციალობა, მაპანსია
მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილება	
	მათემატიკა – 2 ვაკანსია
ბანცური რეგაზ გამყრელიძე ნიკო დუდუჩავა რიფლანდ კოკილაშვილი ვახტანგ ნადარაია გლინსბარ ტარიელაძე ვაჟა ფირამშვილი თეიმურაზ ქადეიშვილი თორნიკე ხარანაშვილი ალექსანდრე ჯანელიძე გიორგი	
	ფიზიკა – 2 ვაკანსია
გერასიმოვი ალექსი კვინიხიძე ალექსანდრე ნაგელიშვილი გიორგი ხელაშვილი ანზორ ხუბუა ჯემალ ჯაფარიძე გიორგი	
დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილება	
	გეოლოგია – 1 ვაკანსია
მალალაშვილი გიორგი შენგელია დავით	
	გეოფიზიკა – 1 ვაკანსია
ჭელიძე თამაზ	
გამოყენებითი მექანიკის, მანქანათმშენებლობისა და მართვის პროცესების განყოფილება	
	ინფორმაციული ტექნოლოგიები და კომპიუტერული ინჟინერია – 1 ვაკანსია
ლაშხი ალექსანდრე ფრანგიშვილი არნიდ ხერეიძე რამაზ	
	საამშენებლო ინჟინერია, მშენებლობის წარმოების ტექნოლოგიები – 2 ვაკანსია
გაბრიჩიძე გეგრამ მახარაძე ლეონ მახვილაძე ლევან მეძმარიაშვილი ედგეშა შეყრილაძე ირაკლი ჯაფარიძე ლევან	
ძეგლთა და ძეგლთან ტექნოლოგიების განყოფილება	
	ქიმია და ქიმიური ტექნოლოგიები – 2 ვაკანსია
დოლიძე ავთანდილ თავაძე გიორგი კოტეხიძე ზვიად ხაჩსანია შოთა ქაშაკაშვილი გურამ ქავარავა რამაზ ციცუშვილი ედადიმერ ჭანკვეტაძე ბუდან	
ბიოლოგიურ მეცნიერებათა განყოფილება	
	პალეობიოლოგია – 1 ვაკანსია
ვაკრა აბესალომ	
	ბიოლოგია – 1 ვაკანსია
ალექსიძე ნუგზარ ედისაშვილი ედადიმერ ზაალიშვილი თენგიზ ლეკაევა თეიმურაზ ნახუცრიშვილი გიორგი	
მედიცინის განყოფილება	
	უროლოგია – 1 ვაკანსია
ბიჭორიშვილი გიორგი მანაგაძე ლაკრენტი	
	ნევროლოგია – 1 ვაკანსია
შაქარიშვილი რომან	
	ოტორინოლარინგოლოგია – 1 ვაკანსია
მარგველეიშვილი კონსტანტინე ჯაფარიძე შოთა	
ფიზიოლოგიის განყოფილება	
	ექსპერიმენტული ნეიროფსიქოლოგია – 1 ვაკანსია
ნანეიშვილი თემურ მთიაგვარია ნოდარ ფალავა ყარამან ყიფშიძე ნიკოლოზ	ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგია – 1 ვაკანსია ნეიროფიზიოლოგია – 1 ვაკანსია
ბუქია გურამ კოკაია ხაალ ლაბახუა თამაზ მიქელაძე დავით ქევანიშვილი ზურაბ	
სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა განყოფილება	
	სახოფლო-სამეურნეო კულტურათა სელექცია, გენეტიკა და მეთესლეობა – 1 ვაკანსია
ნასყიდაშვილი პეტრე	
	ნაადგმცოდნეობა, მეტეოროლოგია – 1 ვაკანსია
ბაბუნიძე განი ურუშაძე თენგიზ	
	აგროტექნოლოგია – 1 ვაკანსია
ბალათურია ნუგზარ გახოკიძე რამაზ კორახაშვილი ავთანდილ ტყემალაძე გურამ	
საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება	
	საქართველოს და აღმოსავლური ძველების ისტორია – 1 ვაკანსია
ლომოური ნოდარ ნადირაძე ედადარ შენგელია ნოდარ ჯაფარიძე გიგა ხახარაძე ნინა	ძველი აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორია – 1 ვაკანსია გამოყენებითი ეკონომიკა – 1 ვაკანსია
ბაბავა ედადიმერ	
	ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია – 1 ვაკანსია
სიდაგაძე ავთანდილ	
	სამართალმცოდნეობა – 1 ვაკანსია
ხეცურიანი ჯონი	ქართულ-ხომხურ-ალბანური ისტორია და ფილოლოგია – 1 ვაკანსია
ალექსიძე ზაზა	
	ფილოსოფიის ისტორია – 1 ვაკანსია
ბრეგვაძე მანანა	
ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილება	
	ქართული ენა – 1 ვაკანსია
არაბული ავთანდილ შანიძე მზექალა	
	ენათმეცნიერება – 1 ვაკანსია
კვირკვიტელია გუნა	
	აღმოსავლეთმცოდნეობა – 1 ვაკანსია
ჯაველიძე ედიზარ სიდაგაძე ამოდონ ხინთიბიძე ედგუჯი	ქართული ლიტერატურის ისტორია – 1 ვაკანსია
	კლასიკური ფილოლოგია – 1 ვაკანსია
გორგეჭიანი რისმაგ	

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ურაპატრიოტიზმი – ნაძირლების უკანასკნელი თავშესაფარი

პირველად, „ერისიონის“ შესახებ ნაცების ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის ყოფილმა მოადგილემ დაარისხა განგაშის ზარები, აქაოდა „ერისიონის“ რუსეთში ცეკვა-თამაში აგვისტოს ომში დაღუპული ჩვენი ბიჭების საფლავებზე ცეკვას ნიშნავსო და მოღალატე უწოდა ამ მართლაც უბრწყინვალეს ეროვნულ კოლექტივს – მარტო მათი შესრულებული „შატილის ასულო“ რად ღირს?..

თითქოს რა მოხდა ასეთი, რა, მსგავსი გამოხდომების მომსწრენი არ გავმხდარვართ ახლო თუ შორეულ წარსულში ნანი ბრეგვაძის, პაატა ბურჭულაძის, თამარ გვერდწითელის, სოსო პავლიაშვილის და სხვათა და სხვათა მიმართ? მაგრამ ქართველმა საზოგადოებამ, სააკაშვილის რეჟიმის ზეობის დროსაც კი მოახერხა სწორი პოზიციის დაკავება და თითო-ოროლა ვიგინდარის წკავწკავმა ამაოდ ჩაიარა!..

მეგონა ახლაც იგივე მოხდებოდა, მაგრამ არა, „ბივში ზამმინისტრას“ ნაბჟუტურები, ოდენ პირველი რგოლი აღმოჩნდა იმ ჯაჭვისა, რასაც მიზანმიმართული, კარგად ორგანიზებული, აღვირახსნილი კამპანია ჰქვია, რომელიც აგერ მეორე კვირაა ჩვენ თვალწინ მიმდინარეობს უკლებლივ ყველა ტელევიზიაში და არა მხოლოდ „ერისიონის“, არამედ ზოგადად ქართულ-რუსული ურთიერთობების ნორმალიზების წინააღმდეგ, ნორმალიზებისა, რისი სურვილის ორმხრივი პირველი ნიშნების ჩანასახშივე მოსპობას ისახავს მიზნად ეს კამპანია!

ჯერ იყო და ეკა კვესიტაძემ მიუძღვნა საკუთარი „აქცენტები“ ევრაზიის ინსტიტუტის ეგიდით ვერე-პალასში გამართულ შეხვედრა-სემინარს ქართულ-რუსული ურთიერთობების შესახებ, რომელსაც უტია შვილის „კნეინამ“ ოსტატურად მიაბა „ერისიონის“ „მოღალატეობის“ თემაც. გადაცემაში, სადაც კვესიტაძის მიერ „კუთხეში მიყენებულმა“, მოსკოვური გასტროლიდან ახლად დაბრუნებულმა ირმა სოხაძემ, როგორ თუ ევრაზიის ინსტიტუტის ორგანიზებულ შეხვედრაზე მიხვედიო. აშკარად ვერ ივარგა. მერე იყო და გასულ პარასკევს იგივე თემაზე ვახო სანაიას „ღია ეთერს“, ლამის მთელმა საქართველომ უყურა. მარტო იტერაქტივში 70 ათასზე მეტი ზარი შევიდა და შედეგად 75%-25%-ზე, „ერისიონის“, ანუ იგივე ქართულ-რუსული ურთიერთობების სასარგებლოდ დაფიქსირდა!

შედეგი, რომელიც მეორე დღესვე გააპროტესტა ე.წ. „პატრიოტთა მოძრაობამ“, რომლის ხელმძღვანელმა „ქათამმა“, ვინმე „ანჟელა“ მაზმანიანმა, ვადაგასული სააკოვის მხარდამჭერი მილიონშჩემტო (მაშ მტყუანის, შე „ქათამო?“) ხელმოწერები რომ შეაგროვა თვით ინტერაქტივის ჩატარების ფაქტს არაეთიკური უწოდა და ახლა ეს „პეტუხი“ სამშობლოში დაბრუნებისას „მოღალატე ერისიონს“, აეროპორტშივე სირცხვილის კორიდორში გატარებით ემუქრებოდა!..

სწორედ ვახო სანაიას გადაცემის ფონზე შევეცდები, „ერისიონის“ და არა მხოლოდ „ერისიონის“, არამედ სხვა, რუსულ-ქართულ პრობლემატიკასთან ასე თუ ისე ახლო მყოფი თემების გაშლას: ნატო იქნება ეს, ევროპა-ამერიკა, საქართველოს უცვლელი საგარეო კურსი თუ სხვა მრავალი, რადგანაც, ვიმეორებ – 75-25-ზე შედეგი, არა მხოლოდ „ერისიონის“ გამარჯვებას ნიშნავს, არამედ ბევრ სხვა რამესაც აყენებს კითხვის ნიშნის ქვეშ, რაც ასე ემცხეთათ მავანთ და მავანთ, მაგრამ, მოდით, ყველაფერზე გამოწვლილვით და შეძლებისდაგვარად – თანამიმდევრულად...

„პატრიოტიზმი ნაძირლების უკანასკნელი თავშესაფარიაო“ – აღარ მახსოვს ვისია ეს სენტენციად ქცეული გამონათქვამი, მაგრამ თუ ამ ფრაზის შინაარსს ვიზიარებთ, მაშინ ბუნებრივად გამოვა, რომ ურაპატრიოტიზმი უკანასკნელი ნაძირლების თავშესაფარია!

თავის დროზე, ეროვნული მოძრაობის აღზევების ჟამს, დიდ რეზო თაბუკაშვილთან ვიღაც წვერგაუპარსავი და შუბლზე შავლენტიანი „შავლეგო პატრიოტები“ მისულან რაღაცა პრეტენზიებით და ბატონი რეზოს შეკითხვაზე, ვინა ხართო? ჩვენ პატრიოტები ვართო! უპასუხიათ საქართველოს სულიერების „მეჭურჭლეთუხუცესს“ მიუგია – **„პატრიოტიზმი პროფესია არ არის, პროფესიონალიზმია პატრიოტიზმიო“...**

აი, ასეა, ანჟელა მაზმანიანი იქნება ეს თუ სხვა „არასამთავრობო“ ორგანიზაცია, რომლებმაც, როგორც ნაწვიმარზე სოკოებმა, 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, ისე წამოყვეს თავები, ყოველნაირად უშლიან ხელს რუსულ-ქართული ურთიერთობების ნორმალიზებისკენ მიმართულ პირველ ნაბიჯებს, დასავლეთიდან, ან ნაცბანდის ნარჩენებისგან (რაც პრინციპში ერთი და იგივეა) უხვად დაფინანსებული „პროფესიონალი პატრიოტები“ ბრძანდებიან!

ნაცბანდისა, რომელსაც, როგორც უტიფარი ნაძირლების კრებულს, თავშესაფრად მართლაც მხოლოდ რუსეთის ზიზღზე აგებული, ურაპატრიოტობაღა დარჩენია!..

ვახო სანაიას გადაცემაში, იმის გარდა რომ მავანთათვის შოკის მომგვრელი ინტერაქტივის შედეგი დაფიქსირდა, კიდევ ერთი პოზიტიური რამ მოხდა – მანამდე ევრაზიის ინსტიტუტის დირექტორი გულბაათ რცხილაძეც ვიხილეთ სტუდიაში, რის გამოც, „ნეხვმზიდ“ (აქაც და ქვემოთაც, სადაც დამჭირდება ბატონი რეზო ამაშუკელის, როგორც თავადვე უწოდა გამოჩენილმა პოეტმა, „პოლიტიკური ზოოპარკიდან“ მოვიხმობ წინწკლებში ჩასმულ უზუსტეს მეტაფორა-შედარებებს მავანთა მიმართ, ვინძლო ბატონი რეზოს საავტორო უფლებები არ დავარღვიო) კახა ბენდუქიძეს, ეკა კვესიტაძის „აქცენტებისგან“ განსხვავებით, აღარ მიეცა „ცალ კარში თამაშის“ საშუალება. თუმცა უკეთესადაც შეიძლებოდა...

ანუ, „ნეხვმზიდ“ ბენდუქიძეს და „მანგუსტა“ თამარ ჩერგოლეიშვილს უფრო აქცენტირებულად შევახსენებდი, რომ პირველმა, არა თუ იმ რუსეთში იშოვა მილიონი, რომელსაც დღეს აგრერიგად ლანძღავს, არამედ პირადად, ჯერ „ალკაში“ ბორის ელცინის და მოგვიანებით ვლადიმერ პუტინის ნებართვით, ე.წ. ВПК, ქართულად: სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის ქარხნებს ხელმძღვანელობდა, ხოლო „მანგუსტა“ მეუღლემ, „მთვლემარე გამძღარმა პითონმა“ გიგა ბოკერიამ, როგორც ამბობენ, კრემლის კაბინეტების მისადგომები აატალახაო (თუმცა უშედეგოდ, სააკაშვილის გადარჩენაზე უარი სტკიცესო) 1 ოქტომბრის არჩევნებამდე, რომლებში ცეკვასაც ღალატად უთვლის „ერისიონს“ პირმშვენიერი „მანგუსტა“ ბოკერიასი!

ეგეც იქით იყოს და, ეს ის ბენდუქიძეა, რომელმაც ჩამოსვლისთანავე განაცხადა – **„ყველაფერს გავყიდი სინდისის** (რაც არასოდეს ჰქონია – **დ.მ.**) **გარდაო“** და შემდეგ – **„მე არ ვიცი, რას ნიშნავს სტრატეგიული ობიექტებიო“** და აქედან გამომდინარე, ყველაფერი გაიყიდა „ნეხვმზიდის“ მდუმარე თანხმობით თუ აქტიური ხელშეწყობით უცხოტომელებზე, ძირითადად რუსებზე!

მაგრამ თურმე ჯერ სადა ხარ და ისეთ რამეში დაიწვნენ „ნეხვმზიდი“ და „მანგუსტა“ – ახლად გამომცხვარი ტელე-ბიზნეს პარტნიორები, რომ...

გულბაათ რცხილაძემ, რუსეთთან ურთიერთობების დალაგების სასარგებლოდ, ერთი, არც თუ უმნიშვნელო არგუმენტი მართლმადიდებლობაც მოიყვანა: **„ჩემთვის, როგორც მართლმადიდებელი ქრისტიანისთვის, ერთმორწმუნეობა ცარიელი სიტყვები არ არისო!“** რაზედაც „მანგუსტს“ და „ნეხვმზიდს“ ლამის ერთდროულად წამოსცდათ – **აა, გასაგებიაო!..**

აა, მართლაც გასაგებია, ეს ირონიულ-სარკასტული რეპლიკა! ამ ერთ სიტყვაში ჩატიეს ამ ხლისტებმა მთელი ბოღმა და ზიზღი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის და მისი საჭეთმპყრობლის, მისი უწმინდესობა-უნეტარესობის საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის,, ილია II მიმართ – ოო, რა დიდი სიამოვნებით მიახრჩობდნენ ისინი მის უწმინდესობას, რადგანაც ქართული ეკლესია და მისი მოხუცებული მესაჭე, ჭეშმარიტი სულიერი მამა ერისა, აღმოჩნდა ის ძალა, რომლის მეოხებითაც ბოლომდე ვერ დაარჩაჩანაკეს მიშნაცებმა ქართველი ერი!

მაგრამ ამ მიმართულებით ხმის ამოღებას თვით თავხედობა-უზრდელობის განსახიერება „ნეხვმზიდი“ ბენდუქიძეც კი ვერ ბედავს. თუმცა მიშარასტების ლოგიკით უპირველესი მოღალატე მისი უწმინდესობა გამოდის, რადგანაც „ერისიონის“ ცეკვა სად იყო, როდესაც ილია II აგვისტოს ომის შემდეგ განსაკუთრებით და მიზანმიმართულად გააქტიურდა ერთმორწმუნე რუსეთის მიმართულებით?

ჰოდა, „ნეხვმზიდი“ იქნება ეს, „მანგუსტა“ თუ მისი მეუღლე – „მთვლემარე გამძღარი პითონი“ გიგა ბოკერია და ა.შ. ძმანი და დანი ხლისტებისა, რომ იტყვიან, **ენის წვერზე ადგათ მისი უწმინდესობის მიმართ უწმინდური შეურაცხყოფანი, მაგრამ ენის წვერზევე დარჩენიათ, რადგანაც წასცდებათ რამე და როგორც იტყვიან, მაგათი აჯობებს...**

ამ მიმართებით, არ შემიძლია არ გავიხსენო იმავე გადაცემიდან დიმა ჯაიანი, რომელმაც ეტყობა, ჩემსავით შეატყო ხლისტებს „გველის კაჭრობა“ და პირდაპირ მიუთითა მისი უწმინდესობის მიმართ წამოსროლილი პრეტენზიების დაუშვებლობის შესახებ, რაც ერთ ფინტიკოზა ქალბატონს ნათია მეგრელიშვილს, მსუბუქი ფორმით, მაგრამ მაინც წამოსცდა!

ამ ქალბატონმა, სხვათა შორის, კიდევ ერთი სისულელე იბოდიალა, რაზედაც ადეკვატური პასუხი ვერ მიიღო – ამერიკა სადაც შევიდა, ყველგან ყველაფერი ააშენა და ააყვავა, რუსეთისგან განსხვავებით, არავისთვის ტერიტორიები არ წაურთმევია და იქნებ დამისახელოთ ერთი შემთხვევა მაინც, რუსეთმა, რომ ნებით დაუთმო ვინმეს რამეო, დაახლოებით ეს ბრძანა, რომ ჰკითხო, იუარებს, მაგრამ მაინც პირწავარდნილმა მიშისტმა!

ეეეჰ, აბა რა გითხრათ „ჩემო ქალბატონო“, განა მთლიანად აშშ-ის ტერიტორია წითელკანიან ინდიელებს არ წარსტაცეს იანკებმა, რომელთაც გენოციდი მოუწყვეს და ახლა მათი ნარჩენები, როგორც ეგზოტიკური იშვიათობები, რეზერვაციებში ჰყავთ შეყრილი? აღარაფერს ვამბობ მექსიკაზე, რომლის ნახევარიც მიიტაცა აშშ-მა ტეხასის სახით...

და საერთოდაც, რომელ ამერიკულ დემოკრატიაზეა საუბარი, იმაზე ხომ არა, ბიძია თომას ქოხს, რომ თავი დავანებოთ კიდეც, გასული საუკუნის 60-იან წლებშიც კი, რესტორნებზე თუ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ეწერა – ზანგებისა და ძაღლებისთვის შესვლა აკრძალულია! ახლა? სიტყვა ზანგის ხსენებისთვისაც კი, ლამის გაგაცემბირონ, ან გაგაალიასკონ! ამაზე მეტი ცინიზმი გაგონილა?

რაც შეეხება მათ აშენებულ-აყვავებულ ქვეყნებს, „დემოკრატია“ ტრუმენმა დაბომბა და მიწასთან გაასწორა ჰიროსიმა-ნაგასაკი და არა „პირსისხლიანმა-ტირანმა“ სტალინმა, რომელმაც ატომური ბომბი მხოლოდ ე.წ. შემაკავებელი ფაქტორის სახით შეუქმნა სსრკ-ს, რასაც ამავე მიზნითვე იყენებს თანამედროვე რუსეთი, თორემ „მშვიდობის მტრედი“ ამერიკა, საპასუხო გამანადგურებელი დარტყმის შიშით რომ არ „აბაბანებდეს“, არც კი დაფიქრდებოდა, ისე გაჟუჟავდა მთელს რუსეთს!

ავღანეთი? ლაპარაკიც არ ღირს – დემოკრატიის ლოზუნგით შევარდნენ, სინამდვილეში კი ნარკოტრაფიკზე დაამყარეს ამერიკული კონტროლი და ახლა ჩვენი ბიჭების სიცოცხლეები ეწირება იმას, რომ მავანმა ამერიკელმა ბიძებმა ჯიბეები გაისქელონ!

რაც შეეხება ერაყს, ამ უძველეს აკვანს კაცობრიობის კულტურისა, რომელიც შუამდინარეთის კულტურის სახელით არის ცნობილი, ეს ქვეყანა იმისთვის გაასწორეს მიწასთან, რომ ბარელი ნავთობის ფასი გააკონტროლონ და „პახოდუ“ 3-4 ათასწლოვანი არტეფაქსებიც დაიტაცეს მუზეუმებიდან.

განსაკუთრებით მართლმადიდებელი სერბეთი ააყვავეს. „აღდგომას გილოცავთო“ ამ წარწერიანი რაკეტებით დაბომბეს ბელგრადი, სადაც 200-მდე (!!!) მართლმადიდებლური ტაძარი დაანგრიეს, გაძარცვეს, და შემდეგ კოსოვოც „აახიეს“. კოსოვო, რომელიც ისეთივე (იქნებ მეტადაც) განუყოფელი ნაწილი იყო სერბეთისა, როგორც ჩვენთვის სოხუმ-ცხინვალი, რომლებიც სხვათა შორის, კოსოვოს პრეცედენტის გამოყენებითაც წაგვგლიჯეს რუსებმა!..

რაც შეეხება ახალი ტერიტორიების დაპყრობას, ეს ამერიკას, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, არ სჭირდება, რადგანაც „დაპყრობას“ დღეს გავლენის სფეროების გაფართოება ჰქვია და აკი ასეთად გამოცხადებულიც აქვს ლამის მთელი მსოფლიო – არც სამხედრო ბაზების ნაკლებობას უჩივიან ამერიკა-ევროპა-აზიაში და მით უმეტეს, არც მარიონეტული მთავრობებისას, იგივე რეგიონებში!

საერთოდ ვინ არის და საიდან მოვიდა ეს ფინთიკოზა ქალბატონი ნათია მეგრელიშვილი? პირველად ეკა კვესიტაძემ ჩართო, როგორც პუბლიცისტი (თუმცა ამ ქალბატონის პუბლიცისტიკის ნიმუში, არ ვიცი, ვინმეს უნახავს?) და მას შემდეგ, როგორც წესი, ყველა ეთერში იწვევენ და არა მხოლოდ მას. ბევრი სხვაც, „რადიატორებთან მსხდომი ჯინჭარაძეები“ გამოჩნდნენ 1 ოქტომბრის შემდეგ, პუბლიცისტები, პროფესორები, ისტორიკოსები, ექსპერტები დაირქვეს და „მაღალინტელექტუალურად“ ნაბავენ თვალებს, რეგულარულად გვმოძღვრავენ, ნაციონალურს ვინღა დაეძებს, „თავისუფალი ტელევიზიებიდანაც“, რაზედაც პრეტენზია „იმედსაც“ აქვს და, მით უფრო, გაუგებარია თუ რატომ თხოვენ ამა თუ იმ თემებზე კომენტარებს ისეთ ოდიოზებს, როგორებიც ეკა კვესიტაძე და ნანუკა ჟორჟოლიანი ბრძანდებიან – **იმის გარდა, რომ ნაცტელევიზიებიდანაც არ გვაკლია მათი ხილვის ბედნიერება, პირადად ბადრი პატარკაციშვილის ხსოვნის შეურაცხყოფაც მგონია ამ უნამოსოების „იმედის“ ეკრანზე გამოჩენა!**

მაგრამ მგონი კალამი გამექცა და ისევ ვახო სანაიას, უფრო სწორედ მის იმღამინდელ სტუმარს მინდია უგრეხელიძეს დავუბრუნდეთ, რომელმაც – **მაგ ლოგიკით, თურქეთი რომ ოკუპანტია და ჩვენი სისხლი აქვს ნათქვლეფი, ისეთი უნდაო და თურქეთთანაც გავწყვიტოთ ურთიერთობებიო?**

ამაზე „ნეხვმზიდმა“ ჩვეული უტიფრობით, ეგაო, ბოლოს 200 წლის წინათ იყო და იმ დაკარგული მიწების დაბრუნების თეორიული შანსიც არ არსებობსო. მაშ მტყუანის, შე ნეხვის თოფრავ, რაც „სულ ახლახანს“, აგერ 1921 წელს იყო, რომ ბოლშევიკურ რუსეთთან ომში ჩაბმულ საქართველოს, ჩვენმა „ისტორიულმა მეგობარმა“ (სააკოვის ერთ-ერთი „ნაკვესის“ მიხედვით) თურქეთმა ზურგში დანა ჩაგვცა და აჭარა-ბათუმის გავლით, ოზურგეთამდე მოვიდნენ ოსმალო იანიჩარები და რომ არა გენერალ მაზნიაშვილის გმირობა, დღესაც იქ იქნებოდნენ!

ან, მართლაც სულ ახლახან, აგვისტოს ომის დროს, ცოტა არ დაეკლდა თურქეთს, რომ „ისტორიულად კუთვნილი“ ბათუმის ოლქი დაეკავებინა და კვლავ გურჯისტანის ვილაიეთად ექცია? ვილაიეთად, რომელიც 1877-78 წლების რუსეთ-თურქეთის ომის დროს წაართვა რუსეთმა თურქეთს და 300 წლის წინათ დაკარგული აჭარა, მესხეთ-ჯავახეთი, დედა-სამშობლო საქართველოს დაუბრუნდა!

აი, მივადექით რუსეთ-საქართველოს შორის მომხდარი ომის და შედეგად ორ ქვეყანას შორის ჯერ არ ნახულად რთული, დაძაბული პოლიტიკური ვითარების უმთავრეს მიზეზს, რომელზედაც არაფერი თქმულა იმ ღამეს „იმედზე“...

ისტორიული უმადურობა!?

თანამედროვე რუსოფობებს, რომლებიც მრავლად არიან ხელისუფლებაშიც და ოპოზიციად ქცეულ ნაცებშიც, პარლამენტს მიღმა არსებულ პარტიებშიც და ე.წ. არასამთავრობო სექტორშიც, ერთი საერთო სენი სჭირთ – რუსეთზე უარყოფით კონტექსტში საუბრისას მამაო ჩვენოსავით მოჰყვებიან, გეორგიევსკის ტრაქტატს, 1801 წელს ქართლ-კახეთის სამეფოს და მოგვიანებით იმერეთის მიერთებას, ბაგრატოვანთა სამეფო დინასტიის თუ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებას, ფრესკების გადათეთრებას და ა.შ. სხვა მრავალი სიავის ჩამოთვლას მოჰყვებიან ხოლმე, რომელნიც ობიექტურად ვიწვნიეთ რუსებთან ერთ სახელმწიფოში 20-წლოვანი თანაცხოვრების, ან გნებავთ, კოჰაბიტაციის მანძილზე!

არადა, ისტორიის ასე, ცალკეული თარიღებით თუ მოვლენებით, კონტექსტიდან ამოგლეჯით განხილვა უმადური საქმეა, რადგანაც ისტორია პოლიტიკურ-ეკონომიკურ-კულტურული პროცესია და სწორედ ამ კონტექსტში, ისტორიულ პერსპექტივაში უნდა ვიმსჯელოთ მის ავსა თუ კარგზე!

არა მგონია, რომ ზემოთ ჩამოთვლილი სიავენი უცნობი ყოფილიყო საქართველოს უგვირგვინო მეფის, თავად ილია ჭავჭავაძის, აწ უკვე წმინდა ილია მართლისთვის, მაგრამ მიუხედავად ამისა, მის პუბლიცისტიკაში ვერსად შეხვდებით რუსეთზე სიძულვილის ენით საუბარს. დიდ ილიას (რომელიც, რატომღაც დარწმუნებული ვარ, რომ „წვერგაუპარსავ შავლეგო პროფესიონალ პატრიოტებზე“ ნაკლები პატრიოტი არ იყო), სწორედ ისტორიული პროცესის ანალიზით, საქართველოს რუსეთთან ძალით თუ ნებით მიერთება, საბოლოო ჯამში დადებით მოვლენად მიაჩნდა, რუსეთის დუმის დეპუტატიც გახდა და, როგორც პრაგმატიკოსი და არა ურაპატრიოტი, იმ დუმაში საქართველოს კულტურული ავტონომიისთვის იღვწოდა და არა პოლიტიკურისა!

იხ. 7 გვ.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

პრეზიდენტზე მეტი პრეზიდენტი

რა უნდა გააკეთოს ქვეყნის მეთაურმა ისეთი, რომ ხალხის სიყვარული დაიმსახუროს? ეს კითხვა 21-ე საუკუნის მეორე დეკადისთვის ერთობ მიუღებელი, შესაძლოა, შეუფერებელიც იყოს, ვინაიდან მომზმარებლური სულისკვეთებით გაჟღენთილი თანამედროვეობა შორსაა პოლიტიკოსთა მიმართ გამოვლენილი პატივისცემისგან, მით უმეტეს – სიყვარულისგან.

პოლიტიკოსებიც, მათ შორის, სახელმწიფოს მეთაურებიც, ისეთები არიან, ნაკლებად რომ იმსახურებენ ხალხის არათუ სიყვარულს, კეთილ სიტყვასაც კი. უფრო მეტიც, მაღალი სავარძლის დატოვების შემდეგ, თუ ვინმემ მათი სახელი გაიხსენა, დიდი ამბავია. მოვლენ ქვეყნის სათავეში, იმუშავებენ კონსტიტუციით განსაზღვრული ვადით, შემდეგ მიდიან და თავს საზოგადოებრივი საქმით იქცევენ. ასეთთა „საქმეები“ უკვალოდ ქრება. არიან ისეთებიც, რომლებიც ვერაფრით ელევიან სავარძელს და ყველაფერს ღონობენ ქვეყნის სათავეში ყოფნის გახანგრძლივებისთვის.

საქართველოს ახალი ისტორიისთვის მსგავსი რამ უცხო არ არის. არავინ იცის, გამსახურდია რამდენ წელიწადს „შემორჩებოდა“ ქვეყნის სათავეს, რომ არა საბედისწერო მოვლენები, რომლებიც მოხდა 1991 წლის მიწურულსა და 1992 წლის დასაწყისში. მისი თანამებრძოლებისგან არაერთხელ მსმენია მისთვის ნათქვამი „ბრძნული“ სიტყვები: **თქვენ პრეზიდენტი უნდა იყოთ მანამ, ვიდრე მოგბეზრდებათ!**

პრეზიდენტობის გახანგრძლივების სურვილი შევარდნაძესაც ჰქონდა. მავანთა აზრით, 2003 წლის რევოლუციის მიზეზიც, სხვასთან ერთად, ესეც იყო.

მაღალი სავარძლის ხანგრძლივად დაპატრონების თავდაიწყებული მოტრფიალე გამოდგა მესამე პრეზიდენტიც, რომელმაც სახელმწიფოს მეთაურად დიდხანს ყოფნისთვის ახალი კონსტიტუციაც შეიმუშავა, მაგრამ, მისდა სავალალოდ, 2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებმა ჩაფუშა მისი გეგმები.

არცთუ იშვიათად, წასულ სახელმწიფოს მეთაურს ნეგატიურად მოიხსენიებენ - მუშაობის პერიოდში დაშვებული უხეში შეცდომების, ანტისახელმწიფოებრივი ქმედების, კორუმპირებულობის, სხვა მანკიერებათა გამო. ხშირ შემთხვევაში აღნიშნულისთვის თავისუფლებასაც აღუკვეთენ ხოლმე.

მსოფლიო ისტორიაში მრავლად არიან იმპერატორები, მეფეები, პრეზიდენტები, პრემიერ-მინისტრები, რომლებმაც უდიდესი კვალი დაამჩნიეს როგორც საკუთარი ქვეყნის, ისე სხვა ქვეყნების ისტორიას. თუმცა, მათი რაოდენობა გაცილებით მცირეა, იმათთან შედარებით, ვინც ნახსენებ სიმაღლეებს უღიმღამოდ იკავებდა. მაგალითად, მსოფლიოს პირველი ქვეყნის, აშშ-ს საჭეს 43 პრეზიდენტი ფლობდა (ბარაკ ობამა 44-ეა), მაგრამ დიდი ასოებით მხოლოდ ზოგიერთთა სახელი შევიდა ისტორიაში.

კაცობრიობის ისტორიის სახელგანთქმული მმართველები ცნობილი იყვნენ როგორც სიმამაცით, განსწავლულობით, სიკეთით, ისე სიმკაცრით, ზოგ შემთხვევაში სისასტიკით. მათი ძალისხმევა მიმართული იყო საკუთარი სახელმწიფოს განდიდების, უძლეველობისათვის.

ასეთებს მადლიერი ხალხი პირამიდებს, ძეგლებს, პანთეონებს უშენებდა. წინა საუკუნეებისთვის დამახასიათებელი კერპთაყვანისცემა, უფრო ზუსტად ბელადთაყვანისცემა არც 21-ე საუკუნისთვის ყოფილა უცხო, რამეთუ გარდაცვლილი სათაყვანებელი მმართველისადმი გულწრფელი დამოკიდებულების გამოხატულობა, მიუხედავად ახალი საუკუნის „საბაზრო ეკონომიკურობისა“, უცვლელია და ამ უცვლელობის წყარო სახელმწიფოს ნამდვილი მეთაური და მისი თაყვანისმცემელი ხალხია.

ვერავინ იფიქრებდა, რომ წასულ ბელადთა სამარადისო საბრძანებლად, წასულ საუკუნეთა დარად, ახალ საუკუნეშიც გაჩნდებოდა მავზოლეუმები ბალზამირებული ბელადებით.

სულ ახლახან დამწუხრებული ქვეყნის დამწუხრებული მთავრობის დროებითმა ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ უზენაესი გადაწყვეტილებით ვენესუელის გარდაცვლილ პრეზიდენტს – უგო ჩავესს მიწას არ მიაბარებენ, ბალზამირებას გაუკეთებენ და რევოლუციის მუზეუმში განთავსებენ (სამომავლოდ მავზოლეუმში), რომ მასთან გამოთხოვების, მისი მონახულების საშუალება მიეცეს ყველა ვენესუელელ, ანუ 25 მილიონ ადამიანს და არა მარტო მათ, არამედ სხვასაც.

ვენესუელის მოსახლეობის უდიდესმა ნაწილმა და, მასთან ერთად, მთელმა ლათინურმა ამერიკამ არნახული გრძნობა გამოავლინა გარდაცვლილი პრეზიდენტისადმი. არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ ასეთ გლოვას ყველა სახელმწიფოს მეთაური ინატრებდა. გლოვა დირიჟორის, რეჟისორის გარეშე. გლოვა გულწრფელი, ყოველგვარი ფარსისა და ფორმალობისგან შორს მყოფი.

ამ საუკუნეში მსგავსს ადგილი ჰქონდა ჩრდილო კორეაში, კიმ ჩენ ირის გარდაცვალების დროს, თუმცა, იქ ჩანდა დირიჟორის ხელი. საყოველთაო გლოვა მოჰყვა იოსებ სტალინის გარდაცვალებას. ჩემს მეხსიერებას შემორჩა რუსთაველის პროსპექტზე, ლენინის მოედანზე, სანაპიროზე, სტალინის ძეგლთან, თავშეყრილი ათასობით მტირალი ადამიანი. ასეთი რამ იშვიათად იმართება საყვარელი, ოჯახის მარჩენალი მამის დაკარგვის დროსაც.

მამა-მარჩენალი დაკარგა ვენესუელამ, ლათინურმა ამერიკამ კი – 21-ე საუკუნის ახალი სოციალიზმის თავდაიწყებული მებრძოლი, აშშ-ის მონოპოლისტურ-ჰეგემონისტური პოლიტიკის წინააღმდეგ აღმართული ბეტონის კედელი. ჩავესის უცილობელი ლიდერობა იწამა სრულიად ლათინურმა ამერიკამ. მარტო ის რად ღირს, კუბაზე, საავადმყოფოში მყოფ ვენესუელის პრეზიდენტს რომ არგენტინის, ბოლივიის, სხვა ქვეყნების პრეზიდენტები ჩაეკითხავენ მოსანახულებლად.

მარტო ის რად ღირს, როდესაც 7 დღის განმავლობაში საკუთარი ქვეყანა და ხალხი გლოვობს და მასთან ერთად ლათინური ამერიკის არაერთი ქვეყანა. ჩავესის გარდაცვალება ოფიციალური სახელმწიფო გლოვის დღედ გამოცხადდა 9 ქვეყანაში. ლათინური ამერიკის ყველა ქვეყნის პირველი პირი დაესწრო დაკრძალვის ცერემონიალს, მათთან ერთად მსოფლიოს 55 სახელმწიფოს მაღალი დელეგაცია, მათ შორის აშშ-დან, ჩავესის ვენესუელის ნომერი პირველი მტრის ქვეყნიდან.

და მაინც, რა გააკეთა 58 წლის უგო ჩავესმა ისეთი, რომ საერთაშორისო სიყვარული დაიმსახურა? დამსახურებების შესახებ ბევრს იტყვიან მომავალში, ბევრიც დაიწერება, მათ შორის კომენდანტეს საწინააღმდეგოც, მაგრამ ვერავინ იტყვის, ჩავესი პირსისხლიანი დიქტატორი იყოო, ისეთი, როგორებსაც მიჩვეულია ლათინური ამერიკა.

თავისი მმართველობის 14 წლის განმავლობაში ჩავესს არასდროს გაუყალბებია არჩევნები, არასდროს ჩაუყრია ციხეებში მოწინააღმდეგეები. ბოლო არჩევნებში გაერთიანებული ოპოზიციის ლიდერი კაპრიალასი დღესაც

მირანდას შტატის გუბერნატორია. ადგილობრივ მმართველობაში ოპოზიციონერების მიერ დაკავებული თანამდებობები ბუნებრივია. ვენესუელის ე.წ. კოჰაბიტაცია არ არის აშშ-ის ნაკარნახევი, ის ჩავესის მართვის სტილია.

ჩავესი ქვეყნის გადარჩენის სურვილით მოვიდა ხელისუფლებაში. მისი მთავარი მიზანი იყო სოციალურ თანაფარდობაზე დაფუძნებული სახელმწიფოს შექმნა, ღარიბ-ღატაკთა სიღარიბის მორევიდან ამოყვანა, ქვეყნის მთავარი სიმდიდრის ხალხის საკეთილდღეოდ გამოყენება, წინამორბედი კორუმპირებული ხელისუფლების მიერ დამკვიდრებული ცხოვრების წესთან ბრძოლა და სხვა.

დღიდან ხელისუფლებაში მოსვლისა, მან მოახდინა ნავთობის მრეწველობის ნაციონალიზაცია, რითაც სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაიკიდა მეზობელი ამერიკა. ნავთობის ექსპორტიდან შემოსული თანხებით ჩავესმა შეძლო ღარიბთა ცხოვრების დონის გაუმჯობესება, მათთვის იმედის ჩანერგვა, ღარიბ-ღატაკთა ქოხმახების მიწასთან გასწორება და მათ ნაცვლად თანამედროვე საცხოვრებელი სახლების წამოჭიმვა, თითქმის უსასყიდლოდ.

ჩავესის მეცადინეობით, სწავლა-განათლება უფასო და საყოველთაო გახდა, ისევე, როგორც ჯანმრთელობის დაცვა.

14-წლიანი მმართველობის დროს უმუშევრობა საგრძნობლად შემცირდა, ამოქმედდა ათასი სახის სოციალური პროგრამა. ბოლო მონაცემებით, ვენესუელამ, ნავთობის მოპოვებით მსოფლიოში პირველმა (მან საუდის არაბეთსაც გაუსწრო), საკუთარი მოსახლეობისთვის ბენზინის მინიმალური ფასები შემოიღო.

ვენესუელა უაღრესად იაფ ფასებში აწვდის ბენზინს კუბას, სანაცვლოდ სახელგანთქმული კუბელი ექიმები მუშაობენ ვენესუელაში. ვენესუელის ნავთობის ექსპორტის 70% აშშ-ში მიედინება ქვეყანაში, რომელიც ჩავესს მტრად მიიჩნევდა.

ჩავესის მეცადინეობით, ლათინური ამერიკის ბევრმა ახალმა ლიდერმა შეიგრძნო დამოუკიდებლად არსებობის აუცილებლობა. აშშ-ის „ბოსტნად“ წოდებული ლათინური ამერიკა სხვა, აშშ-ს საწინააღმდეგო ენაზე ალაპარაკდა და ამის სულისჩამდგმელად, ფიდელ კასტროსთან ერთად, ჩავესი მოგვევლინა.

მისი ყველა გამოსვლა როგორც შინ, ისე გარეთ ამერიკის იმპერიალიზმის მხილება და კრიტიკა იყო. ჩავესმა შეძლო ლათინურ ამერიკაში თავისუფლების სულისკვეთების, რწმენის დათესვა. სწორედ ამიტომაც, მას ხშირად ადარებდნენ ლათინური ამერიკის განმანთავისუფლებელ სიმონ ბოლივარს.

ამერიკისგან დაშორებულმა ჩავესმა მჭიდრო კავშირები დაამყარა ამერიკის საწინააღმდეგოდ მომართულ ისეთ ქვეყნებთან, როგორებიცაა კუბა, ირანი, ამერიკის მეტოქეებთან – რუსეთთან, ჩინეთთან, რითაც მკვეთრად დაძაბა ურთიერთობა ოფიციალურ ვაშინგტონთან.

ჩავესის ვენესუელა ირანთან, კუბასთან, ჩრდილო კორეასთან ერთად, ამერიკისადმი მტრულად განწყობილ სახელმწიფოთა სიაშიც მოხვდა, თუმცა, ამით ჩავესს არც გული წასვლია და არც წარბი შეუხრია. ვაჟკაცური რევოლუციური სული, შეუპოვარი, უშიშარი ბრძოლა ყოველივე უწმინდურის წინააღმდეგ ჩავესის სავიზიტო ბარათი გახდა.

სწორედ ამიტომაც, გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომის მონაწილე ქვეყნებმა უკლებლივ ყველამ, ფეხზე ადგომით, წუთიერი დუმილით, პატივი სცეს 21-ე საუკუნის ერთ-ერთი უდიდეს პოლიტიკოსს, ქარიზმატულ ლიდერს, მგზნებარე რევოლუციონერს – უგო ჩავესს.

პრეზიდენტზე დიდი პრეზიდენტი – ასეთი შეფასება მისცა ჩავესს საკუთარმა ხალხმა იმ გაკეთებული საქმეებისთვის, რომელმაც ვენესუელა ფეხზე დააყენა.

იმავე უშიშროების საბჭომ მორიგი მკაცრი ეკონომიკური სანქციები დაუწესა ჩრდილო კორეას – ბირთვული ბომბის გამოცდისთვის. ამჯერად, ამერიკელთა მიერ მტრად შერაცხილმა ჩრდილო კორეამ, თავისი მოქმედებით არა მარტო ამერიკა გამოიწვია, არამედ მოკავშირე ჩინეთი და კეთილისმსურველი რუსეთიც. ამოქმედდა ბირთვული ბომბის ფლობის ექსკლუზიურობის გრძნობა, ანუ ბომბი უნდა ჰქონდეს იმას, ვისაც აქვს – სხვას არა, მით უმეტეს არც ჩრდილო კორეას და არც ირანს.

მაგრამ ჩრდილო კორეას უკვე რა ხანია აქვს ბომბი. მან არაერთი გამოცდაც ჩაატარა. ირანს ბომბი არ აქვს და არც აპირებს მის დამზადებას, მაგრამ ამის არც „მაგატეს“ სჯერა და არც აშშ-ს. ეს უკანასკნელი ჩრდილო კორეისგან მოითხოვს ბირთვული იარაღის ტექნოლოგიის განადგურებას, ირანს კი სთხოვს შეწყვიტოს ურანის გამდიდრება.

ორივე შემთხვევაში ვაშინგტონი შორს არის მიზნისგან. და ვითარების თავის სასარგებლოდ შემობრუნებისთვის ეკონომიკური სანქციებით ცდილობს აღნიშნულ ქვეყნებზე ზეგავლენის მოპოვება, მაგრამ, როგორც ჩანს, ვერც ეკონომიკური სანქციები შველის ამერიკულ საქმეს.

ფხენიანის მოქმედების საშიშროება მარტო იმით არ გამოიხატება, რომ დემონსტრაციულად იგნორირებს საერთაშორისო წესებს, მიმართულს ბირთვული იარაღის გამოცდის ჩატარების საწინააღმდეგოდ. გამოცდებს შეუძლია, რადიაციული თვალსაზრისით, ზარალი მიაყენოს მეზობელ სახელმწიფოებს – სამხრეთ კორეას, ჩინეთს, რუსეთს.

გარდა ამისა, კორეა იძლევა ცუდ მაგალითს იმ ქვეყნებისთვის, ვისაც სურს, ჰქონდეს ბირთვული ბომბი. ამით შეიძლება შექმნას ბირთვული იარაღის უკონტროლო დამზადების წინაპირობა. „პოლიტიკურ მიწისძვრას“ შეადარა დასავლურმა პრესამ ჩრდილო კორეის ბირთვული ბომბის გამოცდა.

გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრების – ბირთვული იარაღის მფლობელთა შეშფოთებას, ცხადია, აქვს საფუძველი, მაგრამ ნაწილობრივ, ვინაიდან არც ერთი მათგანი, განსაკუთრებით აშშ, არაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ფხენიანმა ხელი აიღოს ბირთვულ იარაღზე.

არც ერთი მათგანი, განსაკუთრებით აშშ, არ სვამს კითხვას, რაში სჭირდება ჩრდილო კორეას ბირთვული იარაღი. პასუხი არის ერთმნიშვნელოვანი – ქვეყნის დასაცავად, მისი პოლიტიკური სისტემის დასაცავად, მმართველი კომუნისტური პარტიისა და ხელისუფლების დასაცავად.

აშშ-ის, სამხრეთ კორეის, იაპონიის მხრიდან აგრესიის შიში იწვევს ფხენიანის სურვილს, ჰქონდეს ბირთვული ბომბი. ფხენიანის სურვილს ამყარებს ბოლო დროს მსოფლიოში განვითარებული პროცესები, განსაკუთრებით ისეთი ქვეყნების წინააღმდეგ, ვინც ჩრდილო კორეასავით იყო შეყვანილი ამერიკელთა შავ სიაში.

სადამ ჰუსეინს რომ მართლაც ჰქონოდა ატომური ან ქიმიური იარაღი, უბატონოდ სიტყვას ვერავინ, მათ შორის ამერიკაც ვერ გაუბედავდა. ერაყიც გადაურჩებოდა აგრესიას, ქვეყანაც არ დაინგრეოდა და მილიონამდე ადამიანის სიცოცხლეც შენარჩუნდებოდა. ვერც ლიბიელ მოამარ კადაფის დააჭრიდნენ ყურზე ხახვს, ატომურ ბომბზე მუშაობა რომ გაეგრძელებინა, ის მიენდო დასავლეთს, გარიგდა მასთან და პასუხად მწარე სიკვდილი იგემა.

შავ დღეშია ამერიკა-ევროპის მიერ ათვალწუნებული სირიის პრეზიდენტი ბაშარ ასადი. რა რჯულის ტერორისტი არ ებრძვის მას – დასავლელთა მხრიდან წაქეზებულ-შეიარაღებული. სულ ახლახან აშშ-მა ოფიციალურად განაცხადა, რომ მძიმე ტექნიკას მიაწვდის მეამბოხეებს ასადის გასანადგურებლად.

მეამბოხეებში უხვად არიან „ალ-კაიდას“ ტერორისტები. ამერიკა-ევროპის ქცევით დაბნეული მსოფლიო, საკუთარი ძალებით ცდილობს გამოსავლის პოვნას. მათ რიცხვშია ჩრდილოეთ-კორეა, ირანი, ვენესუელა, სხვა ქვეყნები.

აშშ-გან თავდაცვის მიზნით, ჩავესის ვენესუელამ მილიარდობით დოლარის იარაღი შეიძინა რუსეთისგან. შიშს წინ ვერაფერი აღუდგება, ვერც სანქციებით გამოწვეული შიმშილი, ვერც სამხრეთ კორეელთა აღშფოთება. მთავარია თავდაცვითი იარაღი.

უშიშროების საბჭოს სხდომის პირდაპირ ტრანსლაციას უმზერდა ფხენიანის ქუჩებში გამოსული მოსახლეობა. მათ სიბრაზეს საზღვარი არ ჰქონდა. რა უნდა იღონოს უშიშროების საბჭომ?

მარტო სანქციები საქმეს არ შეცვლის. იქნებ სხვა გზა გამოეძებნა, მაგალითად, მკაფიო იურიდიული გარანტიები, დოკუმენტის სახით, ჩრდილო კორეის წინააღმდეგ აგრესიის არგანხორციელების თაობაზე. 1992 წელს, საბჭოთა კავშირის დაშლისთანავე, მსოფლიოს, რუსეთის გარდა, 3 ბირთვული სახელმწიფო დაემატა - ბელარუსი, უკრაინა და ყაზახეთი.

ამ რესპუბლიკებში იყო განთავსებული საბჭოთა ბირთვული იარაღი. 1994 წლის ბუდაპეშტის მემორანდუმით გაფორმდა სამი სახელმწიფოს უსაფრთხოების დოკუმენტი, მათ ტერიტორიაზე არსებული ბირთვული იარაღის განადგურების სანაცვლოდ. მემორანდუმი უვადოა. ფხენიანთან მსგავსი დოკუმენტის გაფორმება, გარდა ამისა, ჰუმანიტარულ-ეკონომიკური დახმარება დადებით ნაყოფს გამოიწვევდა.

რამდენიმე წლის წინათ აშშ-მა გადადგა ჰუმანიტარული დახმარების ნაბიჯი, მაგრამ მიზეზთა გამო მალე შეწყვიტა. როგორც ჩანს, სტრატეგიული თვალსაზრისით, ჩრდილო კორეასთან გამუდმებული ჯიკაობა ხელს უწყობს სამხრეთ კორეაში ამერიკული ბაზის ხანგრძლივ არსებობას და არა მარტო იქ, არამედ ჩინეთის ზღვასა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში.

ჩრდილოეთ კორეამ საყოველთაო სახალხო ზეიმი შეაგება ბირთვული იარაღის მიწისქვეშა გამოცდას. ტრადიციისდა მიხედვით, სამხედრო ნაწილებსა და საწარმოებში გაიმართა ხალხმრავალი მიტინგები, რომლის დროს ხოტბა შეასხეს ბომბის წარმატებით აფეთქებას.

12 თებერვლის გამოცდას 4-დან 15 კილოტონამდე სიმძლავრე ჰქონდა. თუ ამას დავუმატებთ კოსმოსური თანამგზავრის გაშვებას, რომელსაც დასავლეთი აღიქვამს როგორც შორი რადიუსის ბალისტიკური რაკეტის გამოცდას, მსოფლიოს თავსატეხი ემატება. ექსპერტების მიხედვით, ბირთვული პროგრამა 3.2 მილიარდი დოლარი დაჯდა და ეს მოსახლეობის შიმშილობის ფონზე.

ჩრდილოელთა ბირთვულ პროგრამას სამხრეთ კორეა გულხელდაკრეფილი არ ხვდება. სულ ახლახან, თავდაცვის სამინისტრომ უზუსტესი ფრთოსანი რაკეტის შექმნის თაობაზე აუწყა მსოფლიოს. „ჩვენ ისეთი რაკეტები დავამზადეთ, რომლებსაც შეუძლიათ მთელი ჩრდილო კორეის განადგურება“, – განაცხადა სამხრეთ კორეის თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა.

გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ ახალი ეკონომიკური სანქციების შემოღების ფეხდაფეხ ფხენიანმა გააძლიერა მუქარა აშშ-ისა და სამხრეთ კორეის მიმართ, გამოვიდა სეულთან 60 წლის წინათ მიღებული ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულებიდან, გაწყვიტა სატელეფონო კავშირი დემილიტარიზებულ ზონაში.

პატარა ნაპერწკალია საჭირო იმისთვის, რომ დიდი ხანძარი აგიზგიზდეს. როგორც ჩანს, ძლიერთა ამა ქვეყნისათა ცხოვრების წესი მუდმივ დაძაბულობას მოითხოვს, ისეთს, როგორიც იყო იუგოსლავიაში, შემდეგ ერაყში, შემდეგ – ავღანეთში, შემდეგ – სირიაში, მომავალი შემდეგიც იძერწება – აშშ-ს შავ სიაში შეყვანილი ჩრდილო კორეას სახით.

მზედველობიდან არც ირანია გამორჩენილი – ისიც აშშ-ის შავი სიის მუდმივი ბინადარია. არავინ იცის, რას მოიმოქმედებს ვაშინგტონი ნავთობით მდიდარი ვენესუელის წინააღმდეგ. გარანტია არ არის, რომ უჩავესოდ დარჩენილ ვენესუელას, ლათინურ ამერიკას, ახალი ენერგიით არ შეუტიოს აშშ-მა. ამერიკის „ბოსტნად“ წოდებულ ლათინოსებს რა ხანია მოაკლდათ ვაშინგტონის „მზრუნველი“ ხელი.

ჰამლეტ ჭიპაშვილი,
პოლიტოლოგი.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ პოზიცია

საქართველოს ენერგეტიკის პრობლემები და პერსპექტივები

საძართველოს** მოსახლეობის გარკვეულმა ნაწილმა იცის, თუ როგორია ენერგეტიკის როლი და მნიშვნელობა ქვეყნის ნორმალურად ცხოვრებასა და განვითარებაში, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენი საზოგადოების საკმაოდ დიდ ნაწილს ჯერ კიდევ არა აქვს სწორად ჩამოყალიბებული წარმოდგენა იმის შესახებ, რომ ენერგორესურსები თავისით არ მიდიან მომხმარებლებამდე და რომ მათი მოპოვება, გადამუშავება, ტრანსპორტირება და განაწილება მრავალ, საკმაოდ რთულ პრობლემასთანაა დაკავშირებული. არც ის აქვს გაცნობიერებული, რომ ვერც მათი მოთხოვნები დაკმაყოფილდება ხელფასებისა და პენსიების ზრდის, უმწეოთა დახმარების, უფასო განათლებისა და ჯანდაცვის გარკვეული სფეროების შემოღების შესახებ, თუ სწრაფი ტემპით არ გაიზარდა ეკონომიკა და საბიუჯეტო შემოსავლები. ეს კი ვერაფრით მოხერხდება, თუ ქვეყანას არ ექნება შესაბამისი ენერგეტიკული ბაზა. არა აქვს გაცნობიერებული, რომ ენერგეტიკა ყოველთვის იყო და მომავალშიც იქნება ქვეყნის ეკონომიკური წინსვლის განმსაზღვრელი ფაქტორი. რომ ენერგეტიკა უზრუნველყოფს ეროვნული მეურნეობის ყველა დარგისა და ქვეყნის უსაფრთხოების სიცოცხლისუნარიანობას. რომ იგია ერთადერთი დარგი, რომლის გაჩერება სრულად დასცემს დამბლას ქვეყნის ეროვნული მეურნეობის უკლებლივ ყველა დარგს და თავდაცვისუნარიანობას. რომ ეკონომიკის სწრაფი ტემპით ზრდა გამოიწვევს ენერგორესურსებზე მოთხოვნილების მნიშვნელოვან ზრდას და, შესაბამისად, მრავალი პრობლემა გახდება გადასაწყვეტი.

ეს მცირე შესავალი იმისთვისაა საჭირო, რომ კარგად გავაანალიზოთ, განვითარების რა ეტაპზე ვიმყოფებით. გვსურს თუ არა, რომ საქართველო რეალურად ჩადგეს განვითარებული ქვეყნების თანამეგობრობის რიგში. თუ ჩვენი მიზანი ეს იქნება, მაშინ აუცილებელია იმის დადგენაც, რა მოცულობის ენერგორესურსები დაგვჭირდება და როგორ უნდა მოვიპოვოთ ან ვაწარმოოთ ისინი.

უწინარესად, უნდა აღინიშნოს ის დიდი სამუშაო, რომელიც უკანასკნელ წლებში ჩატარდა საქართველოში ენერგეტიკული სისტემის ტექნიკური მდგომარეობისა და აღრიცხვიანობის მოსაწესრიგებლად, ასევე იმ მიმართულებით, რომ ენერგოსისტემის საქმიანობაში ვეღარ ერევიან მმართველობის ცენტრალური თუ ადგილობრივი ორგანოების სხვადასხვა დონის ხელმძღვანელი მუშაკები, რომლებიც წინა წლებში აიძულებდნენ ენერგოსისტემას, მათ მიერ ლობირებული საწარმოებისთვის უფასოდ მიეწოდებინათ გაზი თუ ელექტროენერგია. ყველაფერი ამის მიღწევა შესაძლებელი გახდა იმის ხარჯზე, რომ ქვეყანაში დამყარდა საგადასახადო და საბაჟო წესრიგი, აღარ იმალება (ყოველ შემთხვევაში ადრინდელი დონით) წარმოებისა და იმპორტირებული საქონლის მოცულობა, მრავალჯერადად გაიზარდა საბიუჯეტო სახსრები და სწორედ სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყო ენერგეტიკული პრობლემების მოსაგვარებლად 1.5 მილიარდ ლარზე მეტი. ამასთან საკმაოდ დიდი სახსრები მოხმარდა იგივე პრობლემების მოგვარებას გრანტების სახით. ასევე დიდი მოცულობის სამუშაოები ჩატარდა პრივატიზებულ ობიექტებზე (სს „თელასი“ და სს „ენერგო პრო ჯორჯია“) ინვესტორების სახსრებიათ.

მაგრამ უნდა ითქვას, რომ ის, რაც გაკეთდა, გასაკეთებელის მხოლოდ მცირე ნაწილია.

უწინარესად, ალბათ უნდა შევაფასო საქართველოს სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის ნაკლოვანებები, რათა ენერგეტიკის განვითარების სწორი მიმართულებების შერჩევის საშუალება მოგვეცეს.

პირველი ნაკლოვანება (უფრო კი თავისებურება) ის არის, რომ მთლიანად მოხმარებულ ენერგეტიკულ რესურსებში 60-65% იმპორტირებულია, რაც იმითაც არის გამოწვეული, რომ საქართველო არ არის მდიდარი ნახშირწყალბადიანი რესურსებით და ბუნებრივი გაზისა და ნავთობპროდუქტების პრაქტიკულად 100% იმპორტირებულია, და იმითაც, რომ საქართველოში მოქმედმა უცხოურმა კომპანიებმა ვერ მოახერხეს არსებული შეზღუდული მარაგების მინიმალურ დონეზე მაინც ათვისება. განუვითარებელია ქვანახშირის სექტორი და უცნობია რა მომავალი ელის მას. კვლავ ძალიან მაღალია შეშის წილი და ბალანსში 10% აჭარბებს, ხოლო ელექტროენერგიის მოხმარებაში მოსახლეობის წილი თითქმის 60%-ია. ეს უკანასკნელი კი საქართველოს ეკონომიკის განვითარების უაღრესად დაბალ დონეზე მიუთითებს.

ენერგეტიკაში განხორციელებულ რეფორმებს შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ღონისძიება იყო დამოუკიდებელი მარეგულირებელი კომისიის შექმნა. სამწუხაროდ, **ბოლო წლებში კომისიამ თითქმის სრულად დაკარგა დამოუკიდებლობა როგორც ტარიფების, ისე ბაზრის რეგულირების მიმართულებით და ენერგეტიკის სამინისტროს დანამატს დაემსგავსა. ტარიფის ზოგიერთი კომპონენტი გახდა კონფიდენციალური და საზოგადოებისთვის გაუგებარია რა მონაცემებზე დაყრდნობით ფორმირდება ტარიფები ელექტროენერგიასა და ბუნებრივ გაზზე. ასევე გასაიდუმლოებული იყო საქართველოსა და ენერგეტიკულ კომპანიებთან გაფორმებული მემორანდუმები თუ ხელშეკრულებები** (ენერგო პრო, ინტერ რაო, სოკარი). შედეგად ტარიფების შემადგენელი კომპონენტების შესახებ ინფორმაციის მიღება შეუძლებელი იყო.

არ დამთავრებულა აღრიცხვის ხელსაწყოებით მომხმარებლების აღჭურვა (განსაკუთრებით სოფლებში).

იმის მიუხედავად, რომ საქართველოს პრეზიდენტმა არაერთხელ აღნიშნა, ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობაზე მრავალი ათასი ადამიანი დასაქმდაო, იმის გამო, რომ სახელმწიფოსა და ინვესტორს შორის გასაფორმებელი მემორანდუმის პროექტში ან ტენდერის პირობებში არაფერია ნათქვამი ადგილობრივი მუშახელის დასაქმების შესახებ, უცხოელ ინვესტორებს თავიანთი ქვეყნებიდან ჩამოჰყავთ ნებისმიერი კვალიფიკაციის მუშახელი და ადგილობრივების დასაქმება ვერ ხერხდება.

ენერგიის განახლებადი წყაროების ასათვისებლად არ არის დამუშავებული საკანონმდებლო და ნორმატიული აქტები და არ არის შექმნილი საკმარისად სასურველი საინვესტიციო კლიმატი.

ვერ ხერხდება ენერგოეფექტური ღონისძიებების ხელშემწყობი კანონების და ნორმატიული აქტების მიღება.

არ მიმდინარეობს სამუშაოები საქართველოს კანონმდებლობისა და ნორმატიული დოკუმენტაციის ევროპულთან ჰარმონიზაციის მიმართულებით.

ენერგეტიკის ფუნქციონირების და განვითარების საკითხებში მეცნიერები პრაქტიკულად იგნორირებული არიან. სწორედ ენერგეტიკის სამინისტროს უმოქმედობით გაუქმდა ერთადერთი, ძალზე მნიშვნელოვანი ენერგეტიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომელსაც შეეძლო ზემოაღნიშნული საკანონმდებლო და ნორმატიული დოკუმენტების დამუშავება და სხვა პრობლემური საკითხების მეცნიერულ დონეზე გადაწყვეტა.

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს მიერ დამუშავებული ენერგეტიკული პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები მოითხოვს გადამუშავებას, რათა მასში მკვეთრად იყოს გამოხატული, პერსპექტივების გარკვეული დონეებისთვის რა მიზნები გვაქვს დასახული.

დასამუშავებელია ენერგეტიკული სტრატეგია, რომელიც პოლიტიკის, ეკონომიკის, უსაფრთხოების, თანამედროვე ტექნოლოგიების, საბაზრო პრინციპების, გარემოს დაცვის ღონისძიებების, საერთაშორისო ენერგეტიკულ სივრცეში ინტეგრაციის გათვალისწინებით განსაზღვრავს, როგორ უნდა მივაღწიოთ დასახულ მიზნებს.

ენერგეტიკულ სექტორში ჭარბადაა არაბუნებრივი მონოპოლიზმის ელემენტები. მაგალითად „ენერგო-პრო ჯორჯია“ ფლობს როგორც გამანაწილებელ კომპანიებს, ისე დიდი რაოდენობით ჰიდროელექტროსადგურებს, „ინტერ რაო“ ფლობს როგორც გამანაწილებელი კომპანიას ისე ელექტროსადგურებს, „სოკარი“ ფლობს საქართველოს ყველა გაზგამანაწილებელ კომპანიას გარდა ქ.თბილისის გაზგამანაწილებელი კომპანიისა. შესაბამისად შექმნილია თითქმის მთლიანად უცხო ქვეყნების კომპანიებით მართული ვერტიკალურად ინტეგრირებული სისტემები.

რა თქმა უნდა, არის კიდევ საკმაოდ ბევრი ნაკლოვანი მხარე. თუნდაც ის, რომ მიუხედავად განხორციელებული ძალზე დიდი მოცულობის საინვესტიციო პროექტებისა, ენერგოსისტემაში ჯერ კიდევ არის ფიზიკურად და მორალურად მოძველებული ენერგეტიკული მოწყობილობები.

თუმცა საქმეში ჩაუხედავ მოქალაქეს შეიძლება გაუჩნდეს მოსაზრება, რომ ასეა თუ ისე შედეგი არის: ვინც ელექტროენერგიისა თუ ბუნებრივი გაზის საფასურს იხდის, ის შეუზღუდავად იღებს კიდეც აღნიშნულ ენერგოშემცველებს.

სამწუხაროდ, ასეთი მსჯელობა ვერ იქნება მართებული. საქმე ის არის, რომ ენერგოსისტემის ტექნიკური მდგომარეობის და აღრიცხვიანობის მოწესრიგების, ასევე ტარიფების მკვეთრი ზრდის ხარჯზე მნიშვნელოვნად შემცირდა ელექტროენერგიისა და ბუნებრივი გაზის მოხმარება. ვეღარ ხდება მათი უკანონო მითვისება. **ფაქტია, რომ ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა რეალურად იმდენად კი არ გაიზარდა, როგორც ამას წარმოგვიჩენს სტატისტიკის სამსახური, არამედ დიდწილად ლეგალური გახდა საქმიანობა და გამოჩნდა რეალური მოცულობა საქართველოს ეკონომიკისა, თორემ მთლიანი შიდა პროდუქტის ხვედრითი მაჩვენებლით ერთ მოსახლეზე, რომელიც 3500 აშშ დოლარს არ აღემატება წელიწადში, არათუ განვითარებული ქვეყნების რიგში არა ვართ, არამედ ბევრ განვითარებად ქვეყანასაც ჩამოვრჩებით.**

ქვეყნის ეკონომიკური სიძლიერის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინდიკატორია ერთ მოსახლეზე ელექტროენერგიის წლიური მოხმარება. იმ დროს, როდესაც **განვითარებულ ქვეყნებში, რომლებშიც როგორც საწარმოო სექტორში, ასევე ყოფა-ცხოვრებაში დანერგილია თანამედროვე ენერგოეფექტური ტექნოლოგიები და ხელსაწყოები, ეს მაჩვენებელი 8-12 ათას და უფრო მეტ კილოვატსაათს შეადგენს, საქართველოში მხოლოდ 1700-1900 კილოვატსაათის დონეზეა. ეს კი საქართველოს ეკონომიკის მდგომარეობის უკიდურესად დაბალ დონეზე მიუთითებს.**

სწორედ ამიტომ მიგვაჩნია, რომ თუ დღევანდელი ხელისუფლება დანაპირებს შეასრულებს და ეკონომიკა მართლაც სწრაფი ტემპით დაიწყებს განვითარებას, უკვე უახლოეს მომავალში გამოჩნდება, რომ საქართველოს ენერგეტიკაში გატარებული რეფორმები და ჩადებული ინვესტიციები სრულიადაც არ არის საკმარისი ენერგორესურსებზე მზარდი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.

ენერგეტიკა საკმაოდ ინერციული დარგია და მისი განვითარება (განსაკუთრებით მაგენერირებელი სიმძლავრეებისა) დიდ დროსა და სახსრებთან არის დაკავშირებული. ამიტომაა მსოფლიოში მიღებული, რომ ენერგეტიკა წინმსწრები ტემპით უნდა ვითარდებოდეს, რათა იგი მზად დახვდეს ენერგორესურსებზე ეკონომიკისა და მოსახლეობის მზარდ მოთხოვნილებას და არც ერთ ეტაპზე არ გახდეს ეკონომიკის განვითარების დამამუხრუჭებელი ფაქტორი. ენერგეტიკის განვითარების პროცესში გათვალისწინებული უნდა იყოს სარეზერვო სიმძლავრეების მშენებლობაც, რათა ენერგოსისტემაში ავარიული სიტუაციების დროს თავიდან იქნას აცილებული საწარმოო ობიექტებისა და ორგანიზაციების ხანგრძლივი გამორთვა, რაც, თავის მხრივ, ძალზე დიდი ზარალის მომტანი შეიძლება გახდეს. დიდი სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობას, როგორც წესი, 10 წელი და უფრო მეტი დრო სჭირდება. საქართველოში კი ეს ვადა კიდევ უფრო გახანგრძლივებულია, რადგან ნებისმიერი სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციების დაუსაბუთებელი პრეტენზიების გამო შესაძლებელი ხდება ქვეყნის ეკონომიკური წინსვლისათვის აუცილებელი ობიექტების მშენებლობის გაურკვეველი ვადით შეჩერება ან სულაც ლიკვიდაცია. სამწუხაროდ ამის მაგალითები გვაქვს.

არადა, თუ საქართველოს უწერია განვითარებული ევროპული ქვეყნების რიგში ჩადგომა, რაც მაშინ მოხდება, თუ, ვთქვათ, 2050 წლისთვის მაინც მივაღწევთ ევროპის შედარებით ნაკლებგანვითარებული ქვეყნების დღევანდელ დონეს, ანუ ერთ მოსახლეზე 20000 აშშ დოლარის მთლიან შიდა პროდუქტს, და თუ ჩავთვლით, რომ იმ დროისთვის საქართველოს მოსახლეობა იქნება 5-6 მილიონის ფარგლებში, რაც სავსებით შესაძლებელია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის, მიგრანტთა დაბრუნების და ბუნებრივი მატების გათვალისწინებით, გამოვა, რომ მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა არ იქნება 110 მილიარდ აშშ დოლარზე ნაკლები. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ განვითარებულ ქვეყნებში მთლიანი შიდა პროდუქტის და ელექტროენერგიის მოხმარების შეფარდება საშუალოდ შეადგენს 3:1, მივიღებთ, რომ საქართველოში საკუთარი მოხმარებისათვის უნდა იწარმოებოდეს არანაკლებ 35 მილიარდი კილოვატსაათი ელექტროენერგია, ხოლო რეზერვის ჩათვლით უნდა არსებობდეს დადგმული სიმძლავრეები, რომელთა წარმოების პოტენციალი არ უნდა იყოს 40 მილიარდ კილოვატსაათზე ნაკლები.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ პოზიცია

იმ ინერციის გათვალისწინებით კი, რომლის შესახებაც უკვე აღვნიშნეთ, თუ დღეიდანვე არ წარიმართა დაჩქარებული ტემპებით ენერგეტიკის ყველა დარგის განვითარება, შეიძლება ისეთ მდგომარეობაში აღმოვჩნდეთ, როცა ვერც საკუთარი ენერგორესურსებით დავაკმაყოფილებთ მოთხოვნილებას და ვეღარც იმპორტით შემოვიტანთ. საქმე ის არის, რომ ფუკუსიმას ატომურ სადგურზე მომხდარი კატასტროფის შემდეგ გადაწყვეტილია ატომური ელექტროსადგურების საკმაოდ დიდი ნაწილის ლიკვიდაცია და, შესაბამისად, 2030 წლის შემდეგ შესაძლებელია ევროპაში ელექტროენერგიის მნიშვნელოვანი დეფიციტი წარმოიშვას. **ასეთ შემთხვევაში კი საქართველოს მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ვეღარავინ გამონახავს საშუალებას.** უფრო ძნელია აღნიშნული პერსპექტივისთვის ბუნებრივი გაზის მოთხოვნილების განსაზღვრა, თუმცა თუ ასეთივე შეფარდებით ვიხელმძღვანელებთ, 2050 წლისთვის ბუნებრივი გაზის მოხმარება 5-6 მილიარდ კუბურ მეტრს მიაღწევს.

აქ არ შევუდგებით იმის ანალიზს თუ რა ენერგეტიკული რესურსები აქვს საქართველოს და რომელ ეტაპზე რა მოცულობით უნდა იქნან ამოქმედებული. აღვნიშნავთ მხოლოდ, ჩვენი აზრით, რა სამუშაოები უნდა ჩატარდეს სასწრაფოდ, რათა ენერგეტიკის განვითარება არ შეფერხდეს.

უწინარესად საქართველოს ეკონომიკის სამინისტრომ უნდა დაამუშაოს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების კონცეფცია, რომლის ბაზაზეც ენერგეტიკის სამინისტრო გადაამუშავებს მოქმედ ენერგეტიკულ პოლიტიკას და დაამუშავებს ენერგეტიკულ სტრატეგიას. სტრატეგია გარდა ეკონომიკური განვითარების კონცეფციისა, დაფუძნებული უნდა იყოს ობიექტურ ინფორმაციაზე, ენერგოუსაფრთხოების პრინციპებზე, შესაძლო ენერგოდამოუკიდებლობაზე, გარემოს დაცვის მოთხოვნებზე და საერთაშორისო ენერგეტიკულ სივრცეში ინტეგრაციის პრინციპებზე. თუმცა იმის გამო, რომ რა მიმართულებითაც არ უნდა განვითარდეს საქართველოს ეკონომიკა, იქნება ეს ინდუსტრიალიზაცია, სოფლის მეურნეობა, ტურიზმი თუ მათი სინთეზი, რაც უფრო მოსალოდნელი და ეფექტურიცაა, მაინც დიდი რაოდენობის ენერგორესურსები იქნება საჭირო. აქედან გამომდინარე, ენერგეტიკის სამინისტრომ სასწრაფოდ უნდა დაამუშაოს ენერგეტიკული სტრატეგია იმის მიუხედავად, ეკონომიკის სამინისტრო იმუშავებს თუ არა ამ მიმართულებით;

ენერგეტიკული სტრატეგიის ძირითადი პრიორიტეტები უნდა იყოს:

— მოსახლეობისა და ეროვნული მეურნეობის ენერგორესურსებით უწყვეტი და იმედიანი უზრუნველყოფა, ხელმისაწვდომი და, ამავე დროს, ენერგორესურსების ეკონომიურად მოხმარების მასტიმულირებელი ფასებით;

— ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოებისა და დამოუკიდებლობის პრინციპების გათვალისწინება;

— არადისკრიმინაციულ პრინციპებზე მოქმედი ცივილიზებული ბაზრის ჩამოყალიბება, რომელშიც სახელმწიფოს განსაკუთრებული როლი ექნება (ლიცენზირება, ტარიფების დადგენა, პრეტენზიების განხილვა, კანონებისა და ნორმატიული დოკუმენტაციის, პროგრამებისა და პროექტების დამუშავება, განათლებისა და მეცნიერების ხელშეწყობა, წიაღისეულის გამოყენება და სხვა);

იმისათვის, რომ აღნიშნული პრიორიტეტები დინამიკაში მუდმივად შესრულებადი იყოს, საჭიროა ქვეყნის ხელისუფლების სტრუქტურები დღეიდანვე შეუდგნენ აუცილებელი ღონისძიებების შემუშავებასა და განხორციელებას. ასეთ ღონისძიებებად გვესახება:

— სასწრაფოდ დაიწყოს საქართველოს ენერგეტიკის ნორმატიულ სამართლებლივი ბაზის სრულყოფა ევროპულთან ჰარმონიზაციის გათვალისწინებით;

— საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას რეალურად დაუბრუნდეს დამოუკიდებლობა და მის წევრებად კანონის მოთხოვნის შესაბამისად დაინიშნონ მხოლოდ უმაღლესი დონის პროფესიონალები;

— უზრუნველყოფილი იქნას ყოველწლიური (მათ შორის სეზონების მიხედვით) სათბობ-ენერგეტიკული ბალანსების მეცნიერული დამუშავება და ოპტიმიზაცია, მათ შორის, უწინარესად, ენერგეტიკულ კომპლექსში შემავალი ყველა დარგის ურთიერთშეთანხმებული განვითარების საფუძველზე;

— შეიქმნას სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, რომელიც სამინისტროსა და სხვა ენერგეტიკული ორგანიზაციების დაკვეთით დაამუშავებს პრობლემურ საკითხებს (საქართველოს კანონმდებლობისა და ნორმატიული დოკუმენტაციის ევროპულთან ჰარმონიზაცია, სხვა კანონპროექტები, სხვა ნორმატიული დოკუმენტები, სხვადასხვა სახის ენერგეტიკული რესურსების პოტენციალის დაზუსტება და სხვა);

— დამუშავდეს კომპლექსის საკადრო პოლიტიკა, რომლის საშუალებით მიღწეული იქნება პროფესიონალი კადრების მომზადების, გადამზადების და კვალიფიკაციის ამაღლების ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება;

— შექმნას ენერგეტიკულ სისტემაში რეალური სარეზერვო სიმძლავრეები, რათა ავარიულ ან ავტონომიურ რეჟიმებში მუშაობის პირობებში უზრუნველყოფილი იქნას ენერგოსისტემის მდგრადობა;

— დამუშავდეს ენერგორესურსების ექსპორტ-იმპორტის პოლიტიკა ერთი მხრივ მოწოდების დივერსიფიკაციის, ხოლო მეორე მხრივ საქართველოს ჭარბი ენერგორესურსების რეალიზაციის ან პიკური სიმძლავრეების ექსპორტის სანაცვლოდ ბაზისური სიმძლავრეების იმპორტის გათვალისწინებით;

— ახალი ტექნოლოგიების დანერგვით მიღწეულ იქნას ენერგორესურსების მოპოვების, გადამუშავების, გადაცემისა და განაწილების პროცესებში დანაკარგების შემცირება;

— უზრუნველყოფილ იქნას არსებული სიმძლავრეების უდანაკარგოდ გამოყენება;

— მიღწეულ იქნას გარემოზე ენერგეტიკის უარყოფითი გავლენის მინიმიზაცია;

— სასწრაფოდ დამუშავდეს და პარლამენტს წარედგინოს კანონპროექტები ენერგიის განახლებადი რესურსების შესახებ და ენერგოეფექტურობის შესახებ. ამ უკანასკნელში შენობათა თბური მახასიათებლების გაუმჯობესების გათვალისწინებით;

— დამუშავდეს კანონი ენერგეტიკის შესახებ, რომლის რეგულირების სფეროშიც შევა ყველა სახის ენერგორესურსი;

— დაიხვეწოს სახელმწიფოსა და ინვესტორს შორის გასაფორმებელი მემორანდუმის პროექტები, იმ თვალსაზრისით, რომ საქართველომ მეტი სარგებელი მიიღოს;

— დაზუსტდეს საქართველოს ენერგეტიკული რესურსების პოტენციალი;

— საქართველოს ენერგეტიკის განვითარება უპირველესად დაფუძნებული უნდა იყოს საკუთარი ენერგეტიკული რესურსების გამოყენებაზე და როგორც ქვეყნის უპირველესი მნიშვნელობის ენერგორესურსს ჰიდროენერგიას უნდა მიენიჭოს პრიორიტეტი. თუმცა მხოლოდ ჰიდროენერგეტიკის განვითარებით (თუნდაც მისი სრული მოცულობით ათვისებით) ვერ გადაიჭრება ენერგეტიკული პრობლემები (განსაკუთრებით ზამთრის პირობებისათვის) და სათბობ-ენერგეტიკულ ბალანსში აუცილებლად უნდა იქნას ჩართული ქარის, მზის, საკუთარი ნახშირების პოტენციალი და შესაძლოა შავი ზღვის გოგირდწყალბადიც;

— ხელი შეეწყოს წიაღისეული ენერგოშემცველების არსებული რესურსების მოპოვებას;

— ხელისუფლებამ უზრუნველყოს საზოგადოების ინფორმირებულობა ქვეყანაში ენერგეტიკის მდგომარეობისა და მისი განვითარების შესახებ;

აღნიშნული საქმიანობის პარალელურად, კანონის მოთხოვნის შესაბამისად სამინისტრომ უნდა დაამუშაოს ენერგეტიკის განვითარების მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი პროგრამები და პროექტები და მკაცრად გააკონტროლოს მათი შესრულება. კარგი იქნება, თუ ქვეყანა მარტო ინვესტორების იმედზე არ იქნება და ზოგიერთი, ქვეყნისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის პროექტების გამხორციელებაში თვითონაც მიიღებს მონაწილეობას.

აღნიშნული ამოცანების გადაჭრით მივილებთ ფინანსურად მყარ, ეკონომიკურად მდგრად, ეკოლოგიური სტანდარტების შესაბამის დინამიკურად განვითარებად სათბობ-ენერგეტიკულ კომპლექსს, რომელიც აღჭურვილი იქნება თანამედროვე ტექნოლოგიებითა და მაღალკვალიფიციური კადრებით და მოხდება მისი ინტეგრირება საერთაშორისო ენერგეტიკულ თანამეგობრობაში.

რა თქმა უნდა, გადასაწყვეტი პრობლემა სხვაც ბევრია, მაგრამ მხოლოდ ასეთი მიდგომით შეიძლება მოვახერხეოთ ენერგეტიკის განვითარება, ქვეყნის ეკონომიკური წინსვლა და თავიდან ავიცილოთ ის დიდი საფრთხეები, რაც შეიძლება ქვეყანას დაატყდეს ენერგეტიკული კრიზისის პირობებში.

რევაზ არველაძე,
საქართველოს ენერგეტიკის აკადემიის პრეზიდენტი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;

გია არაბიძე,
საქართველოს ტენიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის დეკანი, საქართველოს ენერგეტიკის და საინჟინრო აკადემიის წევრი, პროფესორი.

◎ კერძო აზრი

ურაპატრიოტიზმი — ნაძირლების უკანასკნელი თავშესაფარი

(მეოთხე გვერდიდან)

უფრო მეტიც, რუს-ქართველთა ურთიერთობების, ირტორიის სასწორზე ავ-კარგის აწონვის შედეგად, 1899 წელს დაწერა ბრწყინვალე პუბლიცისტური წერილი, „ასის წლის შემდეგ“, რომელიც რუსის ჯარის საქართველოში პირველად შემოსვლას მიუძღვნა და რომ ანჟელა მაზმანიანები პედერასტობასთან ერთად, წერა-კითხვის უცოდინარნიც არ იყვნენ, ის წერილი წაკითხული ექნებოდათ და „ერისიონს“ კი არა, ილია ჭავჭავაძეს შერაცხავდნენ მოღალატედ!

ამ წერილის ფინალი, ერთხელ უკვე გამოვიყენე რომელიღაც პუბლიკაციაში, მაგრამ იმდენად ეხმაურება წინამდებარე წერილის თემატიკას, რომ, მკითხველის ნებართვით კიდევ ერთხელ მოვიხმობ:

„ამ ღისსახსოვარ დღიდამ საქართველომ მშვიდობიანობა მოიპოვა. შიში მტრისა ერთმორწმუნე ერის მფარველობამ გაუფანტა. დამშვიდდა დიდი ხნის დაუმშვიდებელი, დაღალული ქვეყანა, დაწყნარდა აკლებისა და აოხრებისაგან, დასცხრა ომებისა და ბრძოლისაგან. დადუმდა ჟღერა ხმლისა და მახვილისა, მტრისა ხელით მოღერებულისა ჩვენზე და ჩვენს ცოლშვილებზე, გაჰქრა ცეცხლი, რომელიც სწვავდა და ჰბუგავდა ჩვენს მამა-პაპათა ბინას, ჩვენს საცხოვრებელს, გათავდა რბევა და აკლება, მიეცა წარსულს და მარტო საშინელ და შემაძრწუნებელ სახსოვრად-ღა დაგვრჩა. დაუდგა ახალი ხანა, ხანა მოსვენებულის, უშიშარის ცხოვრებისა, სისხლდანთხეულ და ქრისტეს ჯვრისათვის ჯვარცმულ საქართველოს, რომელიც ღმერთმა საადაო სამოთხედ გაუჩინა ადამიანს და კინაღამ ერთ დიდ სასაფლაოდ არ გადაექცა მისს თავდადებულ შვილებს, რომელნიც უმწედ, უნუგეშ, ყველასგან შორს, მარტოდ-მარტო იხოცებოდნენ ქრისტეს სარწმუნოების სადიდებლად და თავისის ვინაობის გადასარჩენად. დაიდვა საზღვარი მშვიდობის-მყოფელ ცხოვრებისა. ის დღეა და ეს დღე, ვეღარავინ გადმოლახა იგი საზღვარი ცეცხლითა და მახვილით ხელში და 26 ნოემბერს 1799 წელს, კვლავ სასოებაგაღვიძებული მეფე და ერი, გულწრფელად მიენდო თავისს მომავალსა, დიდი რუსეთის მფარველობის იმედითა და ნუგეშინით ფრთა შესხმული“...

რა არის ეს, თუ არა ისტორიული მადლიერების ნიმუში, რითიც არა მხოლოდ დიდი ილია, არამედ ე.წ. სამოციანელ „თერგდალეულთა“ უმეტესობა იყო გამორჩეული? სამწუხაროა, რომ იმ საღამოს ეთერში არავის გაახსენდა ეს წერილი, რადგანაც იქ მსხდომ „ნეხვმზიდებსა“ თუ „მანგუსტებს“, ამერიკის „სიკეთეებით“ მოხიბლულ ფინთიკოზა „პუბლიცისტ-ინტელექტუალ“ ქალბატონს ხმას გააწყვეტინებდნენ და მიშარასტების მიერ ურაპატრიოტიზმით მოწამლულ ახალგაზრდობას რაღაცაზე დააფიქრებდა. თუნდაც იმაზე, რომ XIX საუკუნის დასაწყისში, ამერიმერი საქართველოს მოსახლეობა 700-750 ათასიღა იყო დარჩენილი და რუსეთთან შეერთებამ, სულ მცირე, ფიზიკური განადგურებისგან გადაგვარჩინა, გავმრავლდით და, რაც მთავარია, სწორედ ერთმორწმუნეობის გამო შევინარჩუნეთ ეროვნული მენტალობა, თორემ შევხედოთ ისლამის ოკეანეში ჩარჩენილ ოსმალოს, გნებავთ ირანის ქართველობას, რომელთაც დიდი აღარაფერი სცხიათ ქართულისა და რუსეთში არსებულ ქართულ დიასპორას, რომელთა აბსოლუტურ უმრავლესობას აქაური ქართველებისგან ვერც კი გაარჩევ! რუსეთმა აღკვეთა ე.წ. ლეკიანობა და ტყვეთა გაყიდვაც. აღარაფერს ვამბობ ქართველების ევროპულ განათლებაზე, რასაც რუსეთის გავლით ვეზიარეთ, რამაც განაპირობა კიდეც XIX საუკუნეში ტატოს, ილიას, აკაკის, ვაჟას გენიების გამობრწყინება, თორემ თუ არ ჩავთვლით გურამიშვილის გამონათებას, რუსთაველის შემდეგ ვიდრე საქართველოს რუსეთთან შეერთებამდე, ზოგადკაცობრიული მნიშვნელობის აღარაფერი შექმნილა ქართულ კულტურაში!..

არავითარი სხვა გზა, სხვა ხსნა, არ გაგვაჩნია...

ანუ, ახლა ყოველგვარი მადლიერებაუმადურობის გარეშე, როგორც მოცემულობას, ისე შევხედოთ ჩვენს ჩრდილოელ მეზობელს, რა ვქნათ?

მიუხედავად იმისა, რომ აგერ 200 წელია მთელი მსოფლიო რუსეთის იმპერიის დაშლაზე ოცნებობს და მოქმედებს კიდეც, ჯერ ჯერობით ვერაფერი გამოუდით მსოფლიო მასონებს. ჯერ იყო და, ბრიტანეთმა ჩვეული გაიძვერობით იმდენი ქნა, რომ ბონაპარტეს უძლეველი არმია მიუსია რუსეთს. რა გამოვიდა აქედან? — მოკლე ხანში რუსმა კაზაკებმა პარიზი ამოივლეს ლაჯებში; მერე იყო და, 1917-ში, მასონ-სიონისტებმა მსოფლიოს უდიდესი მართლმადიდებლური (!!!), მონარქიული იმპერია დაამხეს, მაგრამ გენიალური სტალინის მეოხებით, გაცილებით ძლიერი, ამჯერად კომუნისტური იმპერია მოევლინა მსოფლიოს; სტალინის შემდეგ სსრკ-ის დამხობაც მოახერხეს იგივე ძალებმა და რომ ეგონათ ახლა კი საბოლოოდო, 90-იანების ქაოსიდან მოახერხა ვლადიმერ პუტინმა რუსეთის გამოყვანა, რომელიც დღითი დღე, უფრო და უფრო ძლიერდება და კვლავ შიშის ზარს სცემს მსოფლიოს, საკუთარი ძლიერებით, რომელიც კომუნისტური იდეოლოგიის ნაცვლად, მასონთათვის კიდევ უფრო საძულველ, მართლმადიდებლურ რელიგიაზეა დაფუძნებული!

ჰოდა, რუსეთი ბუნებრივად ცდილობს და, არა მგონია, ვერ შეძლოს, თუ უკვე არ შეძლო, პოსტსაბჭოთა სივრცეზე გავლენის აღდგენას!

თუ ისტორიას გადავხედავთ, დავინახავთ, რომ რუსეთის მორიგი დასუსტების ფაზამდე (საიდანაც ის კვლავ გაძლიერებული გამოვა), სულ მცირე რამდენიმე ათეული წელიწადია დარჩენილი და, აქედან გამომდინარე, რა სჯობია პატარა საქართველოსთვის, ათწლეულები ნატოსკენ უპერსპექტივო სვლა, რადგანაც არა მხოლოდ ნატოს ევროპელი მთავარი ფიგურანტები: საფრანგეთი, გერმანია, იტალია, ინგლისი არიან და მომავალშიც იქნებიან საქართველოს ნატოში მიღების წინააღმდეგნი, არამედ, თქვენ წარმოიდგინეთ, რომ ამ საკითხში შეფარული ვეტოს უფლება რუსეთს აქვს. რუსეთს, რომელმაც თავის დროზე, საკუთარი სისუსტის გამო, ერთხელ უკვე დაუშვა ყოფილი საბჭოთა — ბალტიის რესპუბლიკების ნატოში გაწევრება, მეორედ ამას აღარ დაუშვებს და მით უმეტეს კავკასიაში არ შემოუშვებს ამერიკას, სადაც რუსეთს ამდენი უბრძოლია და სისხლი დაუღვრია!

ასე რომ, ვინც ახლა ნატოსკენ ისწრაფვის საქართველოში, ან ბრიყვია, ანდა შეგნებული მატყუარა!

საქართველოს ნატოში გაწევრების უტოპიურობა, ამ საკითხებში კომპეტენტური პოლიტოლოგ-ექსპერტების ნააზრევს ეფუძნება და თუ ისინი ცდებიან და რაღაცა მიზერული შანსი მაინც არსებობს, მხოლოდ ერთ შემთხვევაში — შორეულ პერსპექტივაშიც, ერთხელ და სამუდამოდ უარი უნდა ვთქვათ სოხუმ-ცხინვალის დაბრუნებაზე!

ჰოდა, ეს დავაფიქსიროთ კონსტიტუციაში და არა ჩრდილოატლანტიკური კურსის უცვლელობა და იქნებ მიგვიღონ კიდეც ნატოში!?

დავით მხეიძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

საქართველო აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის „ნდობის ტელეფონს“ უმზადებს

თბილისმა დააფიქსირა ვალდებულება, არ იომოს გამოყოფილ რესპუბლიკებთან

საქართველომ 26-27 მარტისთვის დაგეგმილი მოლაპარაკებათა მორიგი რაუნდისთვის, რაც 2008 წლის ომის შემდეგ ეწყობა ჟენევაში საერთაშორისო კონსულტაციების სახით, აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთისთვის მოამზადა სიურპრიზი. გამოყოფილი რესპუბლიკები მთელი ამ პერიოდის განმავლობაში მოითხოვენ თბილისისგან გარანტიას, არ განაახლოს სამხედრო მოქმედებები. 2010 წელს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ამის შესახებ განაცხადა ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სესიაზე სტრასბურგში, მაგრამ ეს რესპუბლიკები მოითხოვენ დოკუმენტურ დადასტურებას. შვეიცარიაში ახალი შეხვედრის წინ საქართველოს პარლამენტმა რეზოლუციაში საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებათა შესახებ დააფიქსირა, რომ „ადასტურებს ძალის გამოუყენებლობის ვალდებულებას“ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მიზნით.

– ეს იურიდიულად იმაზე უფრო მაღალია, რასაც დაჟინებით მოითხოვდნენ ადრე აფხაზები და ოსები – სამშვიდობო შეთანხმებათა მიღებაზე, – განაცხადა ჩვენთან საუბარში საქართველოს რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა პაატა ზაქარეიშვილმა. – ახლა ვნახოთ, როგორი იქნება საპასუხო რეაქცია.

ორმხრივ შეთანხმებას აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან თბილისი ხელს არ მოაწერს, რათა არ დააფიქსიროს ამგვარი დოკუმენტებით ამბოხებული ავტონომიების სტატუსი, რომელთა დამოუკიდებლობაც აღიარეს მხოლოდ რუსეთმა და კიდევ რამდენიმე პატარა სახელმწიფომ.

– საპარლამენტო რეზოლუცია – ყველაზე მაღალი გარანტიაა, – თქვა პაატა ზაქარეიშვილმა.

საქართველოს ახალ ხელისუფლებას ურჩევნია არ დაასახელოს კონფლიქტების მოწესრიგების შესაძლებლობის თარიღები, აქცენტს აკეთებს დაძაბულობის ეტაპობრივ შენელებაზე და ნდობის აღდგენაზე. სახელმწიფო მინისტრის სიტყვებით, სტრატეგია ემყარება „აფხაზებისა და ოსებისთვის საქართველოს მიმართ საყვედურების ფორმალური საბაბის არაარსებობას“. ამ თვალსაზრისით, მთავრობა მზად არის, თავად სამინისტროს სახელწოდებაც კი შეცვალოს, ვინაიდან ეს არ მოსწონთ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს. მაგრამ უკვე თითქმის სამი თვეა, პრეზიდენტი სააკაშვილი განმარტების გარეშე ხელს არ აწერს ამ წინადადებას. ახალი სახელწოდება ჯერ არ მყლავნდება, მაგრამ, ჩვენი მონაცემებით, მასში არ იქნება სიტყვები „რეინტეგრაცია“ ან „კონფლიქტი“.

პერსპექტივაში თბილისი ასევე მზად არის განბლოკოს სატელეფონო ურთიერთობანი მობილური კავშირის ქართულ კომპანიებს შორის, რომლებიც მუშაობენ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ადგილობრივ ოპერატორებთან ან იქ არსებულ რუსულ სატელეფონო კავშირებთან. ინიციატივა მოდის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებებიდან, რომლებიც მუშაობენ საქართველოს, აფხაზეთისა და ოსეთის საზოგადოებათა დაახლოების პრობლემებზე. თბილისიდან იმ რესპუბლიკებში დარეკვა, რომლებსაც საქართველო „ოკუპირებულ ტერიტორიებს“ უწოდებს, ომის შემდეგ შეუძლებელია.

– ჩვენ მოვამზადეთ ინიციატივების პაკეტი მთავრობისთვის კომუნიკაციების გამარტივების მიზნით, – განაცხადა ჩვენთან საუბარში სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „დევნილთა უფლებებისთვის“ წევრმა ზურაბ ბენდიანიშვილმა. – ეს, სხვათა შორის, შეეხება სატელეფონო კავშირებსაც, „გამყოფი ხაზების“ გადაკვეთის გამარტივებასაც, აგრეთვე სამხრეთი ოსეთის ახალგორის რაიონში ბუნებრივი გაზის მიწოდების აღდგენას, სადაც ტრადიციულად კომპაქტურად ცხოვრობენ ქართველები.

როგორი იქნება აფხაზების რეაქცია საქართველოს ახალ სამშვიდობო ინიციატივებზე, უცნობია. სამხრეთ ოსეთს კი ჯერჯერობით შერიგება არ სურს. იგიც ამზადებს თბილისისთვის სიურპრიზს ჟენევაში, თუმცა არასასურველს. შვეიცარიაში მოლაპარაკებისთვის სამხრეთი ოსეთის პარლამენტი მოისმენს „2008 წლის აგვისტოში საქართველოს სამხრეთი ოსეთის წინააღმდეგ მოქმედებათა პოლიტიკურ-სამართლებრივი შეფასების კომისიის“ წინასწარ დასკვნებს. კომისია შეიქმნა რესპუბლიკის პრეზიდენტის ლეონიდ თიბილოვის ინიციატივით. საქართველოს მიერ დანაშაულის აღიარებამდე სამხრეთ ოსეთს არაფრის განხილვა არ სურს. კომისიას სათავეში უდგას სამხრეთი ოსეთის პარლამენტის თავმჯდომარე სტანისლავ კოჩიევი. კომისიის მუშაობის შედეგების შესაბამისად მიღებული იქნება სამართლებრივი აქტები იმ შედეგების მოწესრიგებასთან დაკავშირებით, რომლებიც გაჩნდა ომის შედეგად, აგრეთვე შემუშავებული იქნება სტრატეგია საქართველოსთან ურთიერთობის შესახებ.

ИЗВЕСТИЯ
ОБЩЕНАЦИОНАЛЬНАЯ ГАЗЕТА

◎ სასურსათო უსაფრთხოება

ძეხვი, სოსისი, ქაბაბი...

ხორცსა და ხორცპროდუქტებს მთელ მსოფლიოში პოტენციურად საშიშ საქონელს მიაკუთვნებენ, ამიტომაც ამ ჯგუფის კვების პროდუქტებზე კონტროლი, ფაქტობრივად, ყველა ქვეყანაში საკმაოდ გამკაცრებულია.

ნებისმიერმა დიასახლისმა იცის, რომ რამდენიმე დღის ნადები ხორცის ნაჭერი საჭმელად მთლად უვარგისი თუ არა, ყოველ შემთხვევაში არც მაინცდამაინც უსაფრთხოა, ამიტომ მისგან კერძის დამზადებას უმეტესწილად თავს არიდებს. მაგრამ როცა საქმე ეხება ასობით და ათასობით ტონა ხორცს თუ ხორცის ნაწარმს, რომელმაც მწარმოებლიდან მომხმარებლამდე საკმაოდ გრძელი, ძვირადღირებული და, პირდაპირ ვიტყვით, სანიტარიული თვალსაზრისით არცთუ უსაფრთხო გზა უნდა გამოიაროს, პრობლემა ერთი ოჯახის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მასშტაბებს სცილდება და საზოგადოებრივი უსაფრთხოების სფეროში ინაცვლებს. ამდენად, როცა სურსათის ნორმალური მონიტორინგის მსვლელობისას რაღაც დარღვევები გამოაშკარავდება ხოლმე, ეს სავსებით ნორმალური პროცესია. ამასთან, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ევროკავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში მიღებული ნორმებით, ხორცის იმპორტიორების, ანდა თუნდაც ერთხელ სანიტარიული უსაფრთხოების ნორმების დარღვევაში შემჩნეული საწარმოების პროდუქცია სხვებზე უფრო მკაცრად ისინჯება, რაც ასევე ლაბორატორიული კონტროლის გავლას ითვალისწინებს. იმ შემთხვევაში კი, თუ დარღვევები კიდევ განმეორდება, მიღებულია სავაჭრო ქსელისთვის საქონლის მიწოდების დროებითი შეჩერების პრაქტიკა. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ხორცპროდუქციაზე (ისევე, როგორც ზოგიერთი სხვა სახეობის სურსათზე) სანიტარიული ნორმების დარღვევის დადგენის შემთხვევაში, საქონლის ის პარტია, რომელიც ჯანმრთელობისთვის რაიმე საფრთხეს წარმოადგენს, გაყიდვიდან უმალ ამოიღება.

აღნიშნულ თემაზე საუბარი ერთმა ცოტა ხნის წინანდელმა შემთხვევამ გამოიწვია, რომელიც ერთ-ერთი ცნობილი ფირმის ხორცპროდუქციის უხარისხობას ეხებოდა, რაც მასმედიაში გახმაურდა კიდეც. საკითხის დეტალებში გასარკვევად კომპანიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურთან დაკავშირება ვცადეთ, თუმცა სატელეფონო ზარებზე არავინ გვიპასუხა. ამის შემდგომ კი საქართველოს სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურის პრესასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსს ვერიკო გულუას დავუკავშირდით და ინფორმაციის მოწოდება ვთხოვეთ. ქალბატონ გულუას განცხადებით, სააგენტო სურსათის ხარისხს (მათ შორის, ცხადია, ხორცის ნაწარმის) აკონტროლებს, როგორც უშუალოდ საწარმოებში, სადაც იგი იწარმოება, ასევე უშუალოდ სარეალიზაციო ობიექტებშიც (მაღაზიებში, ბაზრობებში, საწყობებში). გამონაკლისია მხოლოდ გარემოვაჭრეები, რადგან გარევაჭრობები თავისთავად სამართალდარღვევაა და მათი კონტროლი ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოთა პრეროგატივაა. თუმცა, აქვე იმასაც ვიტყვით, რომ სათანადო სამსახურის უქონლობის გამო, ამას როგორ აკეთებენ, სრულიად გაურკვეველია.

ხორცის ნაწარმის მწარმოებელ ობიექტებზე სურსათის უვნებლობის ეროვნული სააგენტო წარმოების მთელ ჯაჭვს ამოწმებს: **კონტროლს გადის სურსათის უვნებლობა, საწარმო დანადგარები, პერსონალის ჰიგიენის მდგომარეობა, სადეზინფექციო საშუალებები.** აღმოჩენილი დარღვევის შემთხვევაში ბიზნესოპერატორს ან სათანადო რეკომენდაციები ეძლევა, ან ჯარიმდება. იმ შემთხვევაში, თუ სურსათი მავნებელია, ასეთ პარტიას სარეალიზაციო ქსელიდან იღებენ და დადგენილი წესით ანადგურებენ. ხოლო თუ დარღვეულია საწარმო პროცესი, ხოლო პროდუქცია ადამიანის ჯანმრთელობისთვის საფრთხეს წარმოადგენს, საწარმოო პროცესი მთლიანად ჩერდება იმ დრომდე, ვიდრე ხარვეზი არ აღმოიფხვრება, რასაც სათანადო შემოწმება ადასტურებს. ეს რაც შეეხება სურსათის წარმოებისა და მისი რეალიზაციის პირობებში სურსათის უვნებლობის სააგენტოს მხრიდან კონტროლს. ხოლო თუ ამავე პროცესზე საზოგადოებრივი მონიტორინგის საკითხს განვიხილავთ, ქალბატონ გულუას თქმით, არასამთავრობო ორგანიზაციები ცალკეული სასურსათო ჯგუფების კვლევას ახორციელებენ, რის შედეგებსაც სურსათის უვნებლობის ეროვნული სააგენტოს ამცნობენ, რადგან **ოფიციალურად რეაგირების უფლება მხოლოდ სახელმწიფო მაკონტროლებელ ორგანოს აქვს.** აღსანიშნავია, რომ ამ მხრივ სააგენტო ყველა იმ არასამთავრობო ორგანიზაციასთან თანამშრომლობს, რომელიც აღნიშნული პრობლემატიკითაა დაინტერესებული, მათგან მიღებულ ინფორმაციას ითვალისწინებს და ყველა საჭირო შემთხვევაში სათანადო რეაგირებას ახდენს.

კერძოდ, სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი სურსათის ლაბორატორიულ კვლევებს მომხმარებელთა შეტყობინებების საფუძველზე ახორციელებს, ხოლო კვლევათა შედეგები ინტერნეტსაიტზე „მომხმარებელი. გე“ თავსდება. ქალბატონი გულუა ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ **საგენტოს მიერ ჩატარებული კვლევა მოწოდებულ ინფორმაციას ხშირად უსწრებს, ხოლო, თუ ასე არ მოხდა, მაშინ მას გეგმური თუ არაგეგმური ინსპექტირების დროს ითვალისწინებს.** სააგენტოში ცხელი ხაზიც ფუნქციონირებს (2 91-91-67), რომელზეც შეტყობინების დატოვება ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია, რომელიც ამა თუ იმ ტიპის დარღვევას, ანდა საეჭვო ვითარებას ეხება, რაზეც უსწრაფესად რეაგირება ხდება.

ამ მხრივ საგულისხმოა თავად კონტროლის მექანიზმი: **დარღვევის დადგენის შემთხვევაში სააგენტოს თანამშრომლები ითვალისწინებენ, თუ კონკრეტულად დისტრიბუციის რა ეტაპზე მოხდა სურსათის მეორადი დაბინძურება და დაირღვა თუ არა სარეალიზაციო ობიექტში შენახვისა თუ გაყიდვის პირობები. ამის გარკვევის შემდგომ კი პასუხისმგებლობა ეკისრება იმ ბიზნესოპერატორს, ვინც მომხდარში კონკრეტულადაა დამნაშავე. ასეთ კონკრეტულ შემთხვევაში, უშუალოდ მწარმოებლის დასასელება, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, ბიზნეს-ინტერესების შელახვად ითვლება. ამდენად, სადღეისოდ მოქმედი კოდექსის შესაბამისად, სააგენტო ბიზნესოპერატორს არ ასახელებს.** საგენტო ბიზნესოპერატორს მხოლოდ იმ შემთხვევაში ასახელებს, როცა სურსათი ადამიანის ჯანმრთელობისთვის მავნეა.

სურსათის უსაფრთხოების ეროვნული სააგენტოდან მიღებული ოფიციალური ინფორმაციით, შარშან შემოდგომაზე საბავშვო ბაღებში პატარები საკვებით მოიწამლნენ. სააგენტომ სათანადო შემოწმება ჩაატარა, რის შემდეგ გამოვლინდა უხარისხო საკვები პროდუქცია, რაც მასობრივი ინტოქსიკაციის მიზეზი გახდა. შედეგად სააგენტოს ბიზნესოპერატორი, რომლის ბრალეულობითაც ბავშვებს ტოქსიკური ინფექცია შეეყარა, დაუჯარიმებია და საწარმოც „სანამ არ გამოასწორა შეუსაბამობები“ დაუხურა, მაგრამ ოფიციალურად მოწოდებულ ინფორმაციაში მისი სახელწოდება მაინც არ გაგვიმხილა.

აი, ასეთი კოლიზიებია სურსათის უვნებლობასთან დაკავშირებით ამჯერადაც და ამჟამადაც.

ოთარ ტურაბელიძე

დედამიწის ზურგზე

კიდევ ერთმა ხვრელმა მიწაში ჩაყლაპა ამერიკელი: ამჯერად გოლფის სათამაშო ველზე

გოლფისტ მარკ მიხალის ქვეშ მიწამ ერთბაშად დააღო პირი, როდესაც იგი მორიგ დარტყმას აპირებდა, და იგი აღმოჩნდა უზარმაზარ ორმოში, რომლის სიღრმეც ხუთი მეტრი იყო. მისმა მეგობრებმა, რომლებიც თავდაპირველად ფიქრობდნენ, რომ მიხალი დაიმალა, გაიგეს, სად ეძებნათ იგი მისი ყრუ კვნესის მიხედვით მიწისქვეშიდან. ოცი წუთის შემდეგ მამაკაცი გადაარჩინეს. მან მხოლოდ მხარი იღრძო.

* * *

მარსმავალმა აღმოაჩინა დადასტურება: წითელ პლანეტაზე იყო პიროგები სიცოცხლისთვის



მეცნიერებმა ჰეილის კრატერში მოპოვებულ სუბსტანციაში აღმოაჩინეს ქიმიური ნივთიერებანი, რაც აუცილებელია ცოცხალი ორგანიზმის არსებობისთვის, – გოგირდი, აზოტი, წყალბადი, ჟანგბადი, ფოსფორი და ნაშირბადი. ამავე დროს სპეციალისტებმა დაიანგარიშეს, რომ ჯერჯერობით არ არის საფუძველი ვილაპარაკოთ იმის შესახებ, რომ ძველად მიკრობები არსებობდნენ მარსზე, თუმცა, მათ იქ შეიძლება მართლაც ეცხოვრათ.

* * *

ჩინეთში რუსმა ტურისტებმა დანებით იჩხუბეს ღამის კლუბში, თუმცა, მათ აპატიეს

ურთიერთობათა გარკვევის დროს ქალაქ სუიფენხეს კლუბში ერთ-ერთმა რუსმა ამოიღო დანა და დაარტყა თავის თანამემამულეს. დაზარალებული საავადმყოფოში გადაიყვანეს, კონფლიქტის მეორე მონაწილე დააპატიმრეს. თუმცა, ადგილობრივმა ხელისუფლებამ გადაწყვიტა ურთიერთპრეტენზიების უქონლობის გამო ერთმანეთის მიმართ, ტურისტები არ დაესაჯა.

* * *

მიხეილ გორბაჩოვმა ბერლინში წარადგინა თავისი ავტობიოგრაფია



გერმანულენოვანი ვარიანტი, რომლის სახელწოდებაცაა „ყველაფერს თავისი დრო აქვს. ჩემი ცხოვრება“, „რამდენადმე განსხვავდება“ რუსულენოვანი გამოცემისგან, რომლის სახელწოდებაც იყო „მარტოდმარტო საკუთარ თავთან“, აღნიშნა გამომცემლობამ „ჰოფმან უნდ ცამპე ვარიაგ“, რომელმაც შეიძინა წიგნის გამოცემის უფლება.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

პრეზიდენტს და მის გუნდს უკან დასახევი გზა აღარ რჩება

„გვაპატიეთ ხალხო, ვეღარ გაძღა ამ ღორის მუცელი“, — ასე მიმართა სააკაშვილის პირადი დაცვის ოფიცერმა თავის გარშემო მდგარ აღელვებულ ახალგაზრდებს. ეს მაშინ იყო, როდესაც ახალგაზრდული ორგანიზაციების წევრები გაიგებდნენ თუ არა, რომ სააკაშვილი ისევ რომელიმე რესტორანში ქეიფობდა, მიუვარდებოდნენ და სკანდირებდნენ: „მიშა ვარდები! მალე გადავარდები!“; ლაჩარს და მოღალატეს ეძახდნენ და ა.შ. ეს ამბავიც ერთ-ერთი რესტორნის წინ მოხდა. ვინ იყო ის ოფიცერი? ეგებ ერთ-ერთი იმათგანი, ვინც გორში გაეკიდა საფრანგეთის საგარეო მინისტრამდე არმისულ, პანიკურად გაქცეულ სააკაშვილს, რომელსაც რალაცა მოელანდა და მთელი მსოფლიოს თვალწინ სამარცხვინო სპრინტი მოაწყო. დაცვაც იძულებული იყო, დადევნებოდა. ერთ-ერთი უცხოური ტელეკომპანიის გადაღებულ კადრებში კარგად ისმოდა, როგორ უყვიროდა დაცვის ოფიცერი თავისზე წინ მორბენალ კოლეგებს „ფეხი დაუდეთ, მაგის დედაც მ....“..

მახათას მთაზე „მძიმე მდგომარეობაში“ მყოფმა სააკაშვილმა ფანტასტიკური საცირკო სანახაობა მოაწყო. ყველას ახსოვს, როგორ მოიკრიბა მან უკანასკნელი ძალები და სახის ნეტარი გამომეტყველებით „ჩახტა“ უწმინდესის სავარძელში. **„რატომ დაუშვით ეს სამარცხვინო ამბავი? მთელ მსოფლიოში თავი მოგვეჭრა!“,** შევუტიე მაშინ სააკაშვილის გარემოცვის წევრს, რომელსაც უნდა სცოდნოდა, როგორ მოხდა ყველაფერი. აი, რა მომიყვა ამ კაცმა (სტილი დაცულია): **„საპატრიარქოში რომ მივიდა მიშა, დოზა უკვე მიღებული ჰქონდა. უწმინდესთან რომ იჯდა, როგორც ყოველთვის, ყავა მიურთმევიათ. იქვე მაგიდაზე ღვინო, კონიაკი და სხვა სასმელები დაუდგამთ** (მინდა, დავადასტურო, რომ საპატრიარქოში ამ ეტიკეტს ყოველთვის იცავენ, მაგრამ უწმინდესის თანდასწრებით არავინ ეკარება სპირტიან სასმელებს. — **პ. მ.**). **მიშამ ეგრევე დაისხა კონიაკი და დალია, დაისხა და დალია. მერე უწმინდესთან ერთად გავიდა გარეთ და უწმინდესის მანქანაში ჩაჯდა. აი, მაშინ დაკარგა დაცვამ მასზე კონტროლი. თავის მანქანაში რომ ჩამჯდარიყო, მახათაზე აღარ წაიყვანდნენ; ეგრევე დედამისთან გააქანებდნენ, გიული ჩაკეტავდა, მოუვლიდა და გადავრჩებოდით. იმ ვითარებაში კი ვეღარაფერი ქნეს ბიჭებმა“.**

მე, ცხადია არ მიკითხავს, რისი დოზა ჰქონდა „უკვე მიღებული“ საპატრიარქოში მისულ სააკაშვილს. თუმცა, ის, რომ იგი სხადასხვა „დოზებს“ რეგულარულად ღებულობს, არაერთხელ მომისმენია როგორც ჩვენი, ისე უცხოელი ექსპერტებისაგან. ისიც მენიშნა, რომ „ლაზიკის“ მარაზმატულ პროექტზე დაკავშირებულ სიუჟეტში CNN-ის ჟურნალისტი აშკარად რიტორიკულად კითხულობდა: **„ხომ არ არის ეს პროექტი ოპიუმის მწეველის ზმანება?“**

ამ დღეებში ჩვენს პრესაში გამოქვეყნდა ინფორმაცია იმაზე, რომ სპეციალური დაცვის სამსახურის კანონით გათვალისწინებული რეორგანიზაციის პროცესში, დაცვის ბევრმა ოფიცერმა არ ისურვა შესულიყო იმ ნაწილში, რომელიც უშუალოდ ვადაგასულ პრეზიდენტს დაექვემდებარებოდა და მას დაიცავდა. თუმცა, პრეზიდენტის დაცვა საბოლოოდ დაკომპლექტდა და ამ პროცესში სააკაშვილი არც ერთი წამით არ დარჩენილა დაუცველი. აზერბაიჯანიდან ჩამოსულ სააკაშვილს ისევ დახვდა დაცვა ჯავშნიანი მანქანების კორტეჟით და იცავდა მას მთელ პერიმეტრზე, როდესაც ის აეროპორტიდან ელექტრომობილით მოძრაობდა. საგულისხმოა, რომ საქართველოს კანონმდებლობის აღსრულებას სააკაშვილმა საჯაროდ უწოდა **„მთავრობის მიერ დადგმული საცირკო წარმოდგენა“.**

ბოლო დროს სააკაშვილი ხშირად უწოდებს ახალი მთავრობის მოქმედებას კომედიას, შოუს, საცირკო წარმოდგენას და ა.შ. მოყვანილ ნაწყვეტშიც რამდენჯერმე გამოიყენა ასეთი სიტყვები. შეგახსენებთ, რომ ჯერ კიდევ 2010 წელს, „იმედზე“ გასული იმიტირებული ქრონიკის შემდეგ, მსოფლიოს პოპულარულმა ტელეკომპანიამ „სქაი ნიუსმა“ დაამკვიდრა ტერმინი **„სააკაშვილი და მისი კლოუნები“.** 2008 წლის აგვისტოს შემდეგ კი, რეიგანის ყოფილმა მრჩეველმა და დღეს ცნობილმა ამერიკელმა პოლიტოლოგმა დაგ ბენდოუმ სააკაშვილი **„იდიოტ ბავშვს“** შეადარა. ღირს კი ასეთი არსების „ცნობიერების ნაკადის“ გარჩევა? **ღირს და საჭიროც არის.** საქმე ისაა, რომ ვადაგასული სააკაშვილი რჩება თავისი დაჯგუფების ლიდერად და მოქმედ პრეზიდენტად; მისი თანამზრახველების და ყურმოჭრილი მონების ნაწილი ინარჩუნებს მნიშვნელოვან სახელმწიფო-პოლიტიკურ თანამდებობებს და ამ დაჯგუფებას ფული და უძრავი ქონება არ აკლია. გარდა ამისა, „„იდიოტი ბავშვის“ ცნობიერების ნაკადიდან ზოგჯერ შესაძლებელია მისი მომავალი მოქმედებების ამოცნობა.

რაც შეეხება სააკაშვილის შენახვისთვის გამოყოფილ ხარჯებს, სადღეისოდ გამოქვეყნებულია მის შენახვაზე წლიდან წლამდე ხაზინიდან გახარჯული თანხების მხოლოდ ნაწილი; გამოქვეყნებულ ციფრებს არავინ უარყოფს, ვინაიდან დოკუმენტებიდან არის აღებული. **დამტკიცდა, რომ წლების განმავლობაში სააკაშვილის შენახვაზე უფრო მეტი იხარჯებოდა, ვიდრე საქართველოზე გაცილებით დიდი და მდიდარი მრავალი ქვეყანა ხარჯავს თავის პრეზიდენტებზე. ბიუჯეტთან მიმართებაში, ალბათ, მსოფლიო რეკორდიც დაამყარა სააკაშვილმა.** ვეებერთელა თანხები იხარჯებოდა სააკაშვილის უცხოეთში არაოფიციალურ მოგზაურობაზე და პრესტიჟული კურორტების მონახულებაზე (ალბათ, ბეჯითად სწავლობდა, როგორ აეშენებინა საქართველოში იმაზე უკეთესი კურორტები). შარშან აშშ-ში ოფიციალური ვიზიტით მიმავალმა სააკაშვილმა გზად მილანში დასვა თვითმფრინავი მხოლოდ იმისათვის, რომ საყვარელ მაღაზიაში ძვირფასი საათები შეესყიდა. ეს გახმაურდა და ფოტოებიც დაიდო. ასეთი სკანდალის შემდეგ დასავლეთში ნებისმიერი ქვეყნის პრეზიდენტი მაშინათვე გადადგებოდა. სააკაშვილის პერმანენტულად ისტერიკული მდგომარეობის და მისი ნატვრის, რომ ახალმა მთავრობამ „დაივიწყოს და გვერდზე გადადოს მისი თემები“ ერთ-ერთი მიზეზი ისიც არის, რომ გამოძიება წინ მიიწევს, პოულობს სწორედ იმას, რაც არის და რკალი სააკაშვილის და მისი თანამზრახველების გარშემო სწრაფად ვიწროვდება...

2 მარტს სააკაშვილმა კვლავ განაცხადა, რომ მზადაა, შეხვდეს ივანიშვილს და აღნიშნა: **„არავისთვის დასამალი არ არის, რომ ჩვენ ვითხოვთ საშუალო და ქვედა რგოლის პირების დევნის, წამების, დაკითხვებზე დაბარების შეწყვეტას. ასევე ჩვენთვის მნიშვნელოვანია საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის საკითხი და პირადად ჩემთვის პრინციპული მნიშვნელობა აქვს, პარლამენტი იყოს იქ, სადაც ახლაა — ქუთაისში“.**

შეგახსენებთ, რომ სწორედ ამინისტიისადმი განსხვავებული მიდგომების გამო ჩაიშალა ამას წინათ თითქმის მიღწეული თანხმობა კონსტიტუციის შეცვლაზე. საქმე ისაა, რომ სააკაშვილი, მერაბიშვილი, ადეიშვილი, უგულავა და სხვები, თავის უკანონო, დანაშაულებრივ ბრძანებებს ზეპირად იძლეოდნენ, დოკუმენტებს არ ქმნიდნენ და ხელს არაფერს აწერდნენ. თანაც ასეთ ბრძანებებს არა უშუალო შემსრულებლებს აძლევდნენ, არამედ საკმაოდ მაღალი თანამდებობების პირებს, რომლებიც ისევ ზეპირად გადასცემდნენ ამ ბრძანებებს თავის ხელქვეითებს და ა.შ. ხშირად ზეპირი ბრძანება საკმაოდ ბევრი საფეხურით ჩადიოდა უშუალო შემსრულებლამდე. ახლა გამომძიებლებს საქმის დაწყება უშუალო შემსრულებლებთან ურთიერთობით უხდებათ. პირდაპირი, სასამართლოში წარდგენისათვის საკმარისი მტკიცებულება ნაცისტების თავკაცების დანაშაულზე, პრაქტიკულად არ მოიპოვება. თუმცა, ცხადზე ცხადია, რომ მათი უშუალო ბრძანების გარეშე არაფერი მოხდებოდა. სწორედ სააკაშვილის და მისი თანამზრახველების აშკარა დამნაშავეობა იწვევს ხალხის დიდ ნაწილში მზარდ უკმაყოფილებას და გაწბილებას. ადამიანებს არ ესმით, რატომ „არ კიდებენ ხელს და არ აგდებენ ციხეში“ სააკაშვილს და სხვა მთავარ დამნაშავეებს (გავიმეორე ფრაზა, რომელსაც ბოლო დროს ხშირად ვისმენ). **გასული წლის ოქტომბრამდე ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები აღნიშნავდნენ, რომ საქართველოში ადამიანები მზად არიან, დაიბრალონ ნებისმიერი დანაშაულის ჩადენა, მზად არიან, მთელი თავისი ქონება ჩააბარონ სახელმწიფოს, ოღონდ თავი დააღწიონ ციხეს.** უპრეცედენტო საპროცესო გარიგებით გათავისუფლებულმა „შპიონ-ფოტორეპორტიორმა“ აბდალაძემ, 2011 წლის ივლისის ბოლოს უთხრა „ნიუ-იორკ ტაიმსის“ კორესპონდენტს: **„ციხეში მე ვნახე ის, რაც ადრე არსად არასოდეს არ მინახავს. ის, რისი წარმოდგენაც კი არ შემეძლო“.** ახლა ვითარება მკვეთრად შეიცვალა. დაკითხვაზე დაბარებულ „საშუალო და ქვედა რგოლის პირებს“ არ ეშინიათ ციხეებში სასტიკი მოპყრობისა და ხშირ შემთხვევაში აქვთ ნაცისტებისაგან მიღებული გარანტია, რომ სასამართლო მათ გირაოთი გამოუშვებს, გირაოს კი ნაცისტები „აბშჩიაკიდან“ გადაიხდიან. მათ იციან, რომ ციხეში მოხვედრის შემთხვევაშიც ნორმალურ პირობებში იქნებიან; იმედი აქვთ, რომ ნაცისტები მათ ოჯახებსაც მიხედავენ და ყოველმხრივ დაუფასებენ ერთგულებას. ზოგი იმასაც არ გამორიცხავს, რომ ნაცისტები მალე დაბრუნდებიან. ეს ფაქტორები რომ არა, დანაშაულის შემსრულებლებს ეცოდინებოდათ, რომ საკუთარი სასჯელის შემსუბუქების ერთადერთი საშუალება იმის გულწრფელი აღიარებაა, ვინ დაავალა მათ ამის გაკეთება. გამომძიებაც ბევრად უფრო სწრაფად გავიდოდა მთავარ დამნაშავეებზე. მიუხედავად ყველა ხელშემშლელი ფაქტორისა, გამომძიება წინ მიიწევს. სააკაშვილს და სხვებს ისიც ესმით, რომ შეიძლება მალე დაკარგონ კონტროლი სასამართლოზე. ამიტომაც მოითხოვენ ნაცისტების ხელმძღვანელები „საშუალო და ქვედა რგოლის პირების დევნის, წამების, დაკითხვებზე დაბარების შეწყვეტას“ და „უშიშრად“ აცხადებენ, რომ თავისთვის ამნისტიას არ ითხოვენ.

მერაბიშვილის მიერ 19 აპრილს გამოცხადებულ აქციამდე თვენახევარი რჩება. მოქმედი კონსტიტუციით პრეზიდენტს არ აქვს უფლება, დაშალოს პარლამენტი „პარლამენტის არჩევნებიდან ექვსი თვის განმავლობაში“ და „საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის ბოლო ექვსი თვის განმავლობაში“. არჩევნები 1 ოქტომბერს ჩატარდა; თუ ვაიგნორირებთ კონსტიტუციის მოთხოვნას, რომ საქართველოს პრეზიდენტი აირჩევა 5 წლის ვადით და შევეგუეთ იმას, რომ ვადაგასული სააკაშვილი „დე ფაქტო“ პრეზიდენტად რჩება მომავალი პრეზიდენტის ინაუგურაციამდე, მაშინ გამოდის, რომ 1 აპრილიდან დაახლოებით ერთი თვის განმავლობაში სააკაშვილს პარლამენტის დათხოვნის უფლება ექნება (შეგახსენებთ, რომ „საკუთარი ინიციატივით“ მთავრობის გადაყენებაც შეუძლია). ამ ფონზე 19 აპრილს გამოცხადებულ ნაძირალების მარშს, შეიძლება ნაცების ჭკუაში მნიშვნელოვანი დატვირთვა ჰქონდეს. მე ვეთანხმები იმ ექსპერტებს, ვისაც არმაზ ახვლედიანის მსგავსად მიაჩნია, რომ **„პრეზიდენტს და მის გუნდს უკან დასახევი გზა აღარ რჩება. მათ ესმით, რომ მხოლოდ რევანში თუ გადაარჩენს სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან. სამწუხაროდ, ამ მიზნის მისაღწევად „ნაცმოძრაობა“ უკან არაფერზე დაიხევს, არც სისხლისღვრას მოერიდება, არც კონსტიტუციის ფეხქვეშ გათელვას და არც საკუთარი ხალხის მტკიცე ნების სრულ იგნორირებას. მაგრამ, თუ ამ ბატონებს ოდნავ მაინც შემორჩათ საღი აზრი, უნდა ხვდებოდნენ, რომ ყველა ეს მცდელობა უშედეგო იქნება და ასეთი მზაკვრობით საბოლოოდ დაიმარხავენ საკუთარ პოლიტიკურ მომავალს“.** ამ აზრს დავუმატებ, რომ არა მარტო სააკაშვილი, არამედ მერაბიშვილიც აშკარად მოწყვეტილია რეალობას და სისხლში ამოსვრილი სადისტი-ჯამბაზები საღი აზრითაც არ გამოირჩევიან. რომ გაბედონ და მორიგი ავანტიურა განახორციელონ, მართლაც საბოლოოდ დაიმარხავენ არა მარტო საკუთარ პოლიტიკურ მომავალს (რომელიც უკვე დამარხეს), არამედ გაცილებით მეტს, მაგრამ სახელმწიფოსაც დიდ ზარალს მიაყენებენ.

ვფიქრობ, ივანიშვილის ცნობილი ღია წერილი ნამდვილ გამოსავალს სთავაზობს ბოლო თავშესაფარში შემძვრალ ნაცისტებს. სააკაშვილს და მისი დაჯგუფების წევრებს კარგად ვიცნობ და მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ნებისმიერ კომპრომისს ისინი აღიქვამენ, როგორც მტრის სისუსტის გამოვლინებას და უფრო თავხედდებიან (ნებისმიერ პოლიტიკურ ოპონენტს ისინი მტრად აღიქვამენ, სხვანაირად არ ძალუძთ); სიტყვის შესრულებას საერთოდ არ სცნობენ; დაპირება მათთვის მხოლოდ ხერხია დროის მოსაგებად და მერე მტრის „გადასაგდებად“ (მათივე ენით რომ ვთქვათ).

ივანიშვილთან შეხვედრის შემდეგ „იდიოტი ბავშვის“ მიერ გადმოღვრილ ცნობიერების ნაკადს აქ არ გავარჩევ. ახალი არაფერი იყო. ივანიშვილმა კი ზუსტად უწოდა ამ შეხვედრას „შეხვედრა შეხვედრისათვის“. ამ კონტექსტში კოალიციაცია მინდა შევეხო. ამას წინათ ლინკოლნ მიტჩელმა ეკა ბერიძესთან საუბარში სამართლიანად აღნიშნა, რომ დასავლეთში ზოგიერთები ზედმეტ მნიშვნელობას ანიჭებენ კოალიციას, ანუ პრეზიდენტისა და უმცირესობაში გადასული ნაცისტების თანაარსებობას მმართველ კოალიციასთან. სამწუხაროდ, ქვეყნის შიგნითაც საკმაოდ ბევრს აშკარად არასწორედ ესმის, რას ნიშნავს ეს ცნება და რა ხდება ახლა ჩვენთან ამ მხრივ. სინამდვილეში კოალიციაცია ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ სანამ სააკაშვილი და მისი თანამზრახველების ნაწილი ოფიციალურ, მათ შორის სახელმწიფო-პოლიტიკურ თანამდებობებს ინარჩუნებს, საჭიროა და გარდაუვალია მათთან ოფიციალური, საქმიანი ურთიერთობა მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში. ამას მოითხოვს ქვეყნის კონსტიტუცია და სხვა კანონები. წინააღმდეგ შემთხვევაში ქვეყნის მართვა შეფერხდება. მოხდება სახელმწიფო ინსტიტუტების პარალიზება, რაც დაუშვებელია. ამავდროულად ასეთი ურთიერთობა სულაც არ ნიშნავს იმას, რომ გამოძიება შეწყდება და დამნაშავეებს, მათი დღევანდელი თანამდებობების განურჩევლად, არ მიაბრძანებენ ვირის აბანოში. კოალიციაცია არ ნიშნავს დანაშაულის დაფარვას და დამნაშავეებთან შერიგებას, მათთვის ხელშეუხებლობის გარანტიის უკანონო მიცემას, რაც ასე სწადიათ სააკაშვილს და მის თანამზრახველებს! ჯერჯერობით მმართველი კოალიცია ყოველგვარი შეფერხების გარეშე იხილავს ნაცისტური უმცირესობის ყველა ინიციატივას და დროულად რეაგირებს. პარალელურად გამოძიებაც წინ მიიწევს. სამაგიეროდ, სააკაშვილი მართლაც „ჯინიანი ბავშვივით“ ხელს არ აწერს მრავალ საბუთს, რომელიც კანონის შესაბამისად მასთანაა შეგზავნილი. ამასობაში კი ყველგან ყვირის, რომ ის და მისი გუნდი მზად არიან კოალიციისათვის; რომ ყველაფერს აკეთებენ ამისათვის; რომ თვითონ დარჩა პოლიტიკაში მხოლოდ იმისათვის, რომ საქართველოში შენარჩუნდეს „დემოკრატიული სივრცე“ (!) და რომ კოალიციაცას ეწინააღმდეგება „კრემლის მიერ მოყვანილი ძალა, რომელიც საქართველოს უკან ექაჩება“ და ა.შ.

როგორ უნდა იმოქმედოს ასეთ პირობებში მმართველმა კოალიციამ? მაღლა უკვე აღვნიშნე, რომ ნაცისტები საერთოდ არ სცნობენ კომპრომისს. ეს მართლაც ასეა. სამაგიეროდ, ისინი სცნობენ ძალას და მხოლოდ ძალას. აქედან გამომდინარე სწორედ მთავრობის სიმტკიცე და უკომპრომისობა პრინციპულ საკითხებთან დაკავშირებით, ღია თუ კულუარული მოლაპარაკებების დროს, საბოლოოდ დაუკარგავს ნაცისტებს ავანტიურების ხალისს.

ჯერჯერობით კი ცრუპატრიოტიზმი საქართველოში ნაძირალების უკანასკნელ თავშესაფრად რჩება. შაბათს, 2 მარტს, მოძრაობა „პატრიოტის“ (!) წევრებმა ავლაბრის რეზიდენციასთან პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მხარდამჭერი აქცია გამართეს. „ჩვენ შევკრავთ ცოცხალ ჯაჭვს პრეზიდენტის სასახლესთან, რითაც გამოვხატავთ ჩვენს დამოკიდებულებას პრეზიდენტის, როგორც ინსტიტუტის მიმართ და ამით დავაფიქსირებთ ჩვენს პოზიციას იმის თაობაზე, რომ პრეზიდენტის უსაფრთხოება,როგორც სახელმწიფოს მეთაურის უსაფრთხოება და პატივისცემა უნდა იყოს დაცული!

მუქარა პრეზიდენტს — ნიშნავს მუქარას სახელმწიფოს, რაც ყოვლად მიუღებელია!“, აცხადებდნენ ფეისბუქზე აქციის გამართვამდე მისი ორგანიზატორები. მართლაც შეგროვებულან და „დაიცვეს მუქარისაგან“ „იდიოტი ბავშვი“, რომელიც წლების განმავლობაში მორჩილად ასრულებდა პუტინის ჩეკისტური რეჟიმის ყველა დავალებას; 2008 წლის აგვისტოში განახორციელა სამხედრო-პოლიტიკური ავანტიურა და ლანგარზე მიართვა პუტინს აფხაზეთის და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ოკუპაციისა და დამოუკიდებლობის აღიარების საშუალება; ადამიანი, რომელმაც, ლინკოლნ მიტჩელის აზრით, უკეთესად შეუწყო ხელი პუტინის ზრახვების ასრულებას, ვიდრე ამას შეძლებდა პუტინის ნებისმიერი პირადი აგენტი. თითქმის მეოთხედი საუკუნეა, რაც ნაძირალები საქართველოში პატრიოტიზმში პოულობენ თავშესაფარს. ამ აქციაშიც განსაკუთრებული არაფერი არის. მაგრამ ნიშანდობლივია, რომ ცოტანი შეიკრიბნენ და რომ აქცენტი „პრეზიდენტის ინსტიტუტის“ და არა პირადად „იდიოტი ბავშვის“ დაცვაზე გაკეთდა.

პეტრე მამრაძე,
6 მარტი 2013

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ ჭადრაკი

ქართველთა სამეული - პლოვდივში

ბულგარულ პლოვდივში ვეტერან მოჭადრაკეთა ევროპის ჩემპიონატში საქართველოს სამი წარმომადგენელიც ჩაება: ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი, დიდოსტატი თამარ ხმიადაშვილი და საერთაშორისო არბიტრი მარგალიტა თანდაშვილი. პირველ ტურში გაფრინდაშვილმა ლუბა კუზნეცოვა (რუსეთი) დაამარცხა, ხმიადაშვილმა პეტრანკა დრაგანოვას (ბულგარეთი) გააჩერებინა საათი, ხოლო თანდაშვილი გალინა სტრუტინსკაიას (რუსეთი) დანებდა. მე-2 ტურში ხმიადაშვილი და გაფრინდაშვილი დაზავდნენ, თანდაშვილი დრაგანოვას შეუთანხმდა ყაიმზე.

გუშინ მე-3 ტურის შეხვედრები გაიმართა. გაფრინდაშვილი და სტრუტინსკაია მშვიდობიანად დაშორდნენ ერთმანეთს, მათს მაგალითს მიბაძეს რუმიანა გოჩევამ (ბულგარეთი) და ხმიადაშვილმა. ტურნირზე ერთპიროვნულად დაწინაურდა მასპინძელი მარგარიტა ვოისკა, რომელმაც ტატიანა ფომინა (ესტონეთი) დაამარცხა და 3 ქულა მოაგროვა. გაფრინდაშვილსა და ხმიადაშვილს 2-2 ქულა აქვთ.

ვაჟა დანელია

◎ ჩოგბურთი

პირველი წრე დასრულდა

ანტალიაში დაიწყო ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირი (საპრიზო ფონდი 10.000 დოლარი), რომელშიც თბილისელი სოფიო შაფათავაც მონაწილეობს. ასპარეზობის სტარტზე იგი შვედ ლუის ბრუნსკოგს შეხვდა. პირველ სეტში, როცა ანგარიში იყო 4:1 ჩვენებურის სასარგებლოდ, მეტოქემ ტრავმა მიიღო და თამაშის გაგრძელება ვერ შეძლო. ტურნირზე მე-2 ნომრად განთესილი შაფათავა მე-2 წრეში დენიზა ალერტოვას (ჩეხეთი) მძლეველ ანა ბოგდანს (რუმინეთი) დაუპირისპირდება. ტურნირის რეიტინგფავორიტია რუმინელი კრისტინა დინუ (რუმინეთი), რომელმაც დაძაბულ პაექრობაში ჩეხი პერნილა მენდეშოვა დაამარცხა — 7:5, 6:4.

სოფიო შაფათავა წყვილებშიც მოსინჯავს ძალებს. უკრაინელ ალიონა ფომინასთან ერთად იანა ფეტისა (ხორვატეთი) და ევგენია კრივორუჩკოს (უკრაინა) დუეტთან გაარკვევს ურთიერთობას.

გივი გაგუა

◎ ჭიდაობა

დარჩიამ ოლიმპიური გუნდი არჩია

„კლასიკოსთა“ საევროპო შვიდეული

თბილისის სპორტის სსახლეში 19 მარტს დაიწყება და 24-მდე გასტანს მოჭიდავეთა ევროპის ჩემპიონატი, რომელშიც ქართველი ფალავნებიც იბრძოლებენ საპრიზო ადგილებისთვის. ამჟამად ჩვენი გუნდები ბორჯომში გადიან ბოლო საწვრთნელ შეკრებას. ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრების თავკაცმა ბეგი დარჩიამ სწორედ აქ დაასახელა საევროპო შვიდეული: ლაშა გოგიტაძე (55 კგ), რევაზ ლაშხი (60), მანუჩარ ცხადაია (66), ზურაბ დათუნაშვილი (74), ვლადიმერ გეგეშიძე (84), სოსო ჯაბიძე (96) და გურამ ფერსელიძე (120). როგორც ვხედავთ, დარჩიამ ევროპის ჩემპიონატზე იმ გუნდით ასპარეზობა არჩია, რომელიც შარშან ლონდონის ოლიმპიურ თამაშებში გამოდიოდა, რაც სპეციალისტებისა და ქომაგებისთვის, შესაძლოა, თვით ნაკრების ზოგიერთი წევრისთვისაც სიურპრიზი აღმოჩნდა. ერთი შეხედვით, მოულოდნელი არაფერია: პასუხსაგებ შეჯიბრებაზე, მით უმეტეს, როცა მის შედეგზე შენი მომავალიცაა დამოკიდებული, ვის უნდა ენდო? ცხადია, გამოცდილებს. რევაზ ლაშხი ევროპის ჩემპიონი და 2012 წლის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორია, მანუჩარ ცხადაიამ მსოფლიოს ჩემპიონატებზე ორჯერ მეორე ადგილი დაიკავა, ლონდონში კი მესამე იყო, ვლადიმერ გეგეშიძე და გურამ ფერსელიძე ბრიტანეთის დედაქალაქში მეხუთე ადგილებზე გავიდნენ.

უნგრეთში „ოქროს დიდ პრიზზე“ ნაჩვენები შედეგების შემდეგ ყველას ეგონა, რომ ნაკრებში აუცილებლად იქნებოდა ცვლილებები. მით უმეტეს, რომ იმ ტურნირზე 55 კილოში ედნარ შავაძემ გაიმარჯვა, რომელიც საქართველოს ჩემპიონიცაა, მაგრამ იგი, ასევე, საქართველოს ჩემპიონ რობერტ ქობლიაშვილთან (84) ერთად, ახალგაზრდულ ნაკრებს დაუბრუნდება მის შემადგენლობაში იბრძოლებს ქვეყნის სპორტული ღირსების დასაცავად. უნგრეთში მარცხის მიუხედავად, დარჩია მაინც ენდობოდა გეგეშიძესა და ჯაბიძეს, რადგან საგანგებო პროგრამით ამზადებდა ევროპის ჩემპიონატისთვის.



მადიარების ქვეყანაში რევაზ ლაშხმა დროებით იჭიდავა 66 კილოში, თორემ ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე კვლავაც 60-ში იასპარეზებს. უბრალოდ, თებერვალში წონა არ დააკლებინეს. აი, 66 კილოში მანუჩარ ცხადაიას დარჩენა კი მოულოდნელი იყო. მართალია, მან აქ მიაღწია წარმატებებს, მაგრამ წონის შენარჩუნება უჭირს და ოლიმპიადის შემდეგ გადაწყვეტილი იყო 74-ში ანაცვლება. მის წონაში კი საჩინო დავითაიას უნდა ეჭიდავა, რომელმაც უნგრეთში ისახელა თავი და იმედისმომცემი ფალავანიცაა. როგორ ზემოთ აღვნიშნეთ, გუნდის გაახალგაზრდავებას ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა გამოცდილებზე დაყრდნობა არჩია. დანარჩენს თბილისის სპორტის სასახლის ხალიჩა გვიჩვენებს.

შეგახსენებთ, რომ 19 მარტს პაექრობებში თავისუფალი სტილით მოჭიდავეები ჩაებმებიან. საქართველოს სპორტულ ღირსებას, როგორც უკვე გაუწყეთ, ოლიმპიური ჩემპიონის — რევაზ მინდორაშვილის ხელმძღვანელობით გიორგი ედიშერაშვილი (55), ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორი ვლადიმერ ხინჩეგაშვილი (60), კონსტანტინე ხაბალაშვილი (66), დავით ხუციშვილი (74), ევროპის ჩემპიონი და ლონდონის ოლიმპიადის ბრინჯაოს მედალოსანი დავით მარსაგიშვილი (84), ელიზბარ ოდიკაძე (96) და გენო პეტრიაშვილი (120) დაიცავენ. პირველ დღეს მედლები 66 და 96 კილოში გათამაშდება, 20 მარტს — 55 და 60, 21 მარტს — 74 და 120, ხოლო 22 მარტს 84 კილოში შევიტყობთ მედალოსნების ვინაობას.

ლექსო ცინცაძე

◎ ფეხბურთი

ნუ გააბრაზებთ „ბარსას“

კატალონიურმა გრანდმა ქომაგებს ფანტასტიკური სალამო აჩუქა — ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალის განმეორებით მატჩში იტალიის „მილანს“ ქარიშხალივით გადაუქროლა და მეოთხედფინალის საგზური დამსახურებულად მოიპოვა. გულშემატკივრებს, ცხადია, ამ გუნდების პირველი შეხვედრაც ახსოვთ. მაშინ „ბარსელონა“ თავის თავს არ ჰგავდა, რასაც „რეალთან“ წაგებული პაექრობებიც დაერთო და საფეხბურთო სამყარო კატალონიელთა კრიზისზე ალაპარაკდა, მით უმეტეს, რომ მთავარი მწვრთნელი ტიტო ვილანოვა ამერიკაში იმყოფება სამკურნალოდ. იგი, თურმე, ოკენისგალმიდან ინტერნეტის მეშვეობით მოძღვრავს შეგირდებს. ახლაც ასე მოხდა. მილანში მარცხის მიუხედავად, გუნდის თავკაცმა ტაქტიკა არ შეცვალა. ეს იყო მხოლოდ, რომ ტრავმირებული პუიოლის ნაცვლად ძირითად შემადგენლობაში მასკერანო გამოჩნდა, ფაბრეგასს კი დავით ვილია შეენაცვლა, რამაც გაამართლა კიდეც.

მატჩი მასპინძელთა იერიშებით დაიწყო, რაც მოულოდნელი არავისთვის ყოფილა — პირველი ორთაბრძოლა „ბარსას“ სტუმრად ხომ წაგებული (0:2) ჰქონდა და თითქმის მთელი შემადგენლობით დაცვაზე ორიენტირებული „მილანის“ „წელში გატეხვა“ მხოლოდ სწრაფ გოლს შეეძლო. ასეც მოხდა: მე-5 წუთზე სტუმართა საჯარიმოს წინა ხაზთან მესიმ და ჩავიმ ორსვლიანი კომბინაცია გაითამაშეს, რასაც არგენტინელის ფანტასტიკური გოლი მოჰყვა და „ბარსელონა“ დაწინაურდა — 1:0 (საგულისხმოა, რომ კატალონიელებს ორთაბრძოლის პირველ ხუთ წუთში ჩემპიონთა ლიგის 29 შეხვედრაში აქვთ გოლი გატანილი). ცხადია, ორბურთიანი სხვაობის აღმოსაფხვრელად ეს არ იყო საკმარისი და მასპინძლებმა იერიშები განაგრძეს. მალე ინიესტას შეეძლო თავის გამოჩენა, მაგრამ მისი შორეული ზუსტი დარტყმა აბიატიმ და ხარიხამ მოიგერიეს, მესის თავური კი არაზუსტი აღმოჩნდა. მილანელები მეტოქეს იშვიათი, მაგრამ სახიფათო კონტრშეტევით პასუხობდნენ. 38-ე წუთზე ნიანგის ბურთის გატანის რეალური შანსი მიეცა და რომ ესარგებლა, არავინ იცის, მატჩი როგორ დამთავრდებოდა: იტალიელთა 18 წლის თავდამსხმელმა „ბარსას“ მცველების უხეში შეცდომით ისარგებლა და ვალდესთან პირისპირ გავიდა. მისი დარტყმის შემდეგ ბურთი ძელს მოხვდა. სამაგიეროდ, ორიოდე წუთში მასპინძლებმა გამოიჩინეს თავი: მოედნის ცენტრთან ინიესტამ ორ მეტოქეს აართვა ბურთი და „მილანის“ საჯარიმოს წინა ხაზთან მყოფ მესის მიაწოდა, რომელმაც მეორედ აიღო აბიატის კარი. ეს კატალონიელების მიერ ჩემპიონთა ლიგის პლეი ოფში გატანილი მე-100 გოლია, მესისთვის კი მსგავს შეჯიბრებებში მე—16 დუბლია, რითაც ლიდერობს კიდეც (სულ მესიმ ევროტურნირებში 58-ჯერ იყოჩაღა).

შესვენების შემდეგ თამაშის სცენარი არ შეცვლილა — „ბარსელონა“ უტევდა, „მილანი“ თავს იცავდა და კონტრშეტევებით პასუხობდა, რამაც სტუმრებს წარმატება ვერ მოუტანია, კატალონიელთა გარჯა კი დაფასდა: 55-ე წუთზე ინიესტა-ჩავი-ვილიას კომბინაცია ამ უკანასკნელის ზუსტი დარტყმით დასრულდა — 3:0. ეს ანგარიში ხელსაყრელი იყო მასპინძლებისთვის, მაგრამ ისინი მიღწეულს არ დასჯერდნენ — მსაჯის მიერ დამატებულ დროში ალბამ მეოთხედ აიღო აბიატის კარი — 4:0 და „ბარსელონა“ მეოთხედფინალში გავიდა.

გერმანიის **„შალკემ“** მერვედფინალის პირველი მატჩი სტუმრად თურქეთის **„გალათასარაისთან“** ფრედ (1:1) დაამთავრა, ამიტომ გამეორებით პაექრობაში შინ ნებისმიერი ანგარიშით მოგება და ნულოვანი ფრეც ხელს აძლევდა, მაგრამ საკუთარი გულშემატკივრების თვალწინ ამ უპირატესობის რეალიზება ვერ შეძლო, არადა, მე-17 წუთზე დაწინაურდა (ნოიშტადტერი) კიდეც. საპასუხოდ სტუმრებმა ორი გოლი გაიტანეს: 37-ე წუთზე „შალკეს“ ყოფილმა ფეხბურთელმა ალთინთოფმა წონასწორობა აღადგინა, ხოლო ილმაზმა დააწინაურა „გალათასარაი“. შესვენების შემდეგ მეტოქეებმა გოლები გაცვალეს (ბასტოსი —2:2, ბულუთი—2:3) და თურქები მეოთხედფინალში ითამაშებენ.

ლაშა დიდია

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

სანთელი

ნოდარ ასათიანი



დღეს ქართული სამეცნიერო და არამხოლოდ სამეცნიერო საზოგადოება ეთხოვება თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის თვალსაჩინო წარმომადგენელს, უმაღლესი სკოლის ღირსეულ პედაგოგს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ **ნოდარ ასათიანს,** რომლის მთელი შეგნებული ცხოვრება – სამეცნიერო, პედაგოგიური და საზოგადოებრივი – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს უკავშირდება. ბატონი ნოდარი გახლდათ ჭეშმარიტი უნივერსიტეტელი, რომელსაც 1949 წლიდან მოყოლებული ერთი დღეც კი არ გაუტარებია მის გარეშე 2006 წლის შემოდგომამდე...

დაიბადა 1931 წლის 8 იანვარს თბილისში, წიგნიერი მშობლების ოჯახში. წარმატებული და ძალზე საინტერესო ცხოვრება უკვე სკოლიდანვე დაიწყო. 1949 წელს მან წარჩინებით დაამთავრა თბილისის რკინიგზის №1 საშუალო სკოლა და იმავე წელს ჩაირიცხა თსუ ისტორიის ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ჯგუფში. 1954 წელს ასევე წარჩინებით დაამთავრა ისტორიის ფაკულტეტი და სწავლა განაგრძო ასპირანტურაში. 1960 წელს აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილის ხელმძღვანელობით წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია: „კახეთის გლეხობა XVI-XVII სს-ში“, ხოლო 1990-ში ისტორიის მეცნიერებათა დოქტორისა თემაზე: „კახეთის სამეფო XV-XVI საუკუნეებში“, 1991-ში პროფესორის სამეცნიერო წოდება მიენიჭა. სწორედ ბ-ნი ნოდარის სახელს უკავშირდება შუა საუკუნეების კახეთის ისტორიის ურთულესი ასპექტების შესწავლა.

ფართო და მრავალმხრივია ბ-ნი ნოდარის სამეცნიერო თვალსაწიერი. 1973 წელს იგი აქვეყნებს სოლიდურ მონოგრაფიას: „მასალები XVII საუკუნის საქართველოს ისტორიისათვის“, რომელმაც ახალი საარქივო მასალებით მიიპყრო სამეცნიერო საზოგადოების ყურადღება.

არანაკლებ მნიშვნელოვანი აღმოჩნდა 1983 წელს გამოქვეყნებული მონოგრაფია „გზა გამოხსნისა აღდგომისაკენ“, რომელშიც მოთხრობილია საქართველო-რუსეთის ურთიერთობაზე უძველესი დროიდან გეორგიევსკის ტრაქტატის ხელმოწერამდე. ავტორი აქაც უხვად იყენებს ქართულ, რუსულ და აღმოსავლურ წერილობით წყაროებს.

ბ-ნი ნოდარი, როგორც წესი, საქართველოს ისტორიის ურთულეს პრობლემატიკაზე მუშაობდა.

სიახლის თვალსაზრისით გამოირჩევა ქართული მიწათმფლობელობის ისტორიის პრობლემებისადმი მიძღვნილი კვლევა-ძიებათა შედეგებიც.

შესანიშნავი ნარკვევები უძღვნა ავტორმა მარაბდის, მარტყოფისა და ბახტრიონის გმირულ ბრძოლებს.

ბ-ნი ნოდარი ჩვენს მეცნიერებაში განსაკუთრებულ ადგილს იმ მხრივაც იმსახურებს, რომ იგი საქართველოს ისტორიის რამდენიმე სახელმძღვანელოს სულისჩამდგმელი და ავტორია. 1988 წელს შოთა მესხიათან, მარიამ ლორთქიფანიძესთან, ვიქტორ გუჩუასთან ერთად გამოაქვეყნა საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო VIII-IX კლასების მოსწავლეთათვის. 1990 წელს იგი უკვე დამოუკიდებლად გამოსცემს საქართველოს ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოს VIII-IX კლასების მოსწავლეთათვის. შემდგომ წლებშიც იგი სახელმძღვანელოების ავტორი ან თანაავტორია. 1990 წელს მისი სახელმძღვანელო რუსულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე ითარგმნა და არაქართულ სკოლებში ფართო გავრცელება ჰპოვა, რასაც მრავალი თვალსაზრისით უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. ბ-ნი ნოდარი უმაღლესი სასწავლებლების სახელმძღვანელოთა ავტორი და თანაავტორიცაა: 90-იანი წლების ბოლოს შექმნა „საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან XIX საუკუნემდე“ არასპეციალური ფაკულტეტების სტუდენტთათვის; 2008 წელს პროფესორ გივი ჯამბურიასთან ერთად – „საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო, ტომი II“ (სპეციალური ფაკულტეტისათვის), რომელშიც მოთხრობილია ჩვენი ქვეყნის ისტორია XIII საუკუნიდან XVIII საუკუნის ბოლომდე. პროფესორ ალექსანდრე ბენდიანაშვილთან ერთად გამოსცა 1997 წელს „საქართველოს ისტორია“ ფრანგულ ენაზე, რომელმაც საფრანგეთში ფართო აღიარება მოიპოვა, ხოლო 2009 წელს კიდევ ერთი სახელმძღვანელო გამოიცა ამჯერად ინგლისურ ენაზე (თანაავტორი ბ-ნი ოთარ ჯანელიძე).

შეუძლებელია, არ აღინიშნოს მისი დიდად ნაყოფიერი და აქტიური მოღვაწეობა თსუ ისტორიის ფაკულტეტის დეკანის პოსტზე (1976-1987 წწ.).

მისი თაოსნობით სკოლის მოსწავლეებისთვის ისტორიის ფაკულტეტთან შეიქმნა „ნორჩ ისტორიკოსთა სკოლა“, სადაც გამოცდილი პროფესორ-მასწავლებლები მომავალ ისტორიკოსებს მეცნიერულად წვრთნიდნენ.

ბ-ნი ნოდარი ქართველ ისტორიკოსთა შორის პირველი გახლდათ, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში საქართველოს ტელევიზიით ფართო საზოგადოებას საქართველოს ისტორიის მეცნიერულ კურსს უკითხავდა.

დიდად სამწუხაროა, რომ ჩვენმა საისტორიო მეცნიერებამ კიდევ ერთი დანაკლისი განიცადა, მაგრამ ვიმედოვნებთ, რომ ბატონი ნოდარის გზას მისი მოწაფეები და სალექციო კურსების მრავალრიცხოვანი მსმენელები განაგრძობენ, ხოლო თავად მან თავისი ადგილი ჩვენი ეპოქის ისტორიკოსთა და პედაგოგთა შორის უკვე დაიმკვიდრა.

საქართველოს ისტორიკოსთა
ეროვნული კომიტეტი;
ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს
საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება

გახსენება

დედა, ჩემო დიდო ტკივილო!..

მერი (მარიამ) მიხეილის ასულ ჭანტურიას ნათელ ხსოვნას

დედა, მარად მოუშუშებელო ჭრილობავ გულისა, ჩემო დიდო ტკივილო...

15 მარტს სამი წელი შესრულდება შენი გარდაცვალებიდან. საშინელი რამ ყოფილა უდედოდ ცხოვრება. გამიჭირდა უშენობა. გაუსაძლისი გამიხდა სიცოცხლე, ჩვილი ბავშვივით მოგტირი დღემდე. მაპატიე, ძვირფასო, მოსვენებას რომ არ ვაძლევ შენს სულს, დღეღამ რომ გაწუხებ. ხან შენს სურათთან მივდივარ და გესაუბრები, ხან ვტირი, ხან ფიქრებს სადღაც მივყავარ. ვიტანჯები სულიერად. უშენობა გარეგნულადაც დამეტყო. მხედველობა გამიუარესდა, წელში მოვიხარე. თუმც საგრძნობლად დავიკელი წონაში, ძლივს დავატარებ სხეულს. მიზეზი ის არის, რომ უშენოდ ცხოვრება არ შემძლებია. თურმე როგორ მყვარებიხარ, ახლა შევიგრძენი. განა ცოტაა 62 წელი ერთად ცხოვრება. უმამობის მიუხედავად, არაფერი დაგიკლია ჩემთვის. შენ იყავი ჩემი საძირკველი, რომელზედაც მყარად ვიდექი; ჭერი, რომელიც თავზე მეფარე; საყრდენი – დიდი ძალა, რომელიც წაქცევის საშუალებას არ მაძლევდი; ფარი, რომელიც მიცავდი ყველაფრისგან და ყველასგან, ყველგან და ყოველთვის. მე შენით ვიყავი ძლიერი, ჩემო დიდო იმედო. ოთახის შუაგულში კუბოში ჩასვენებულს რომ გიყურებდი, მაშინაც იმედი იყავი. მართალია, გარდაცვლილ დედას გიყურებდი, მაგრამ მაინც იმედი იყავი, რადგან გხედავდი, გიყურებდი...

დღეს... დღეს კი შენ გარეშე დარჩენილს მიჭირს... თუ როგორ მიჭირს მხოლოდ უფალმა იცის.

ვერ გხედავდე თუნდაც, ხმა მესმოდეს შენი,
უშენოდ გული მტკივა, კვნესის სული.

დედიკო! ჩვენო იმედო, იცი, როგორ გვენატრები? შენი გაზრდილი შვილიშვილები – ედუარდი და გიორგი ჩემზე ნაკლებად როდი განიცდიან უშენობას. ედუარდი შენ სურათს მობილური ტელეფონით ატარებს, როცა ბებო მომენატრება, სურათს გულში ვიხუტებო. გიორგიმ მითხრა, ბებო რომ ძალიან მომენატრება, იესოს ლოცვას ვიწყებო.

მადლობა უფალს, ისეთი დედა მყავდი, რომ ყველას სიყვარულს იმსახურებდი. ახლობლები, მეზობლები თუ ნაცნობები დიდი სიყვარულით გიგონებენ, დედიკო. ყველა გვერდში მიდგას, მადლობა მათ, მაგრამ შენ... შენ სულ სხვა იყავი ჩემთვის.

არვინ გაჩენილა ჩემთვის შენისთანა.
შენ გამო დიდ ტკივილს დავატარებ თანა,
ტკივილს, რომელიც სიკვდილამდე განუკურნებელი დარჩება.
დედავ, ჩემო განძო, ჩემო მიწიერო ღმერთო,შეუცვლელო, ერთადერთო, განუმეორებელო, დიდო სიყვარულო, ძვირფასო
შენი გარდაცვალებიდან ჩემი გული კვნესის, იწვის,
თუ რა ძლიერ მენატრები, მამაზეციერმა იცის.
უფალს შევთხოვ, ვევედრები, განმაშოროს დარდი, სევდა,
შვილებით მყოს ბედნიერი, ვთხოვ, გაცხონოს, ჩემო დედა.
მიყვარხარ, მიყვარხარ ძალიან. ძალიან მენატრები, დედა.

მამაო, ძეო და წმიდაო სულო, ღვთისმშობელო დედა, წმიდა ზეციურო ძალებო! გთხოვთ, შეიწყალოთ დედაჩემის სული ცოდვილი, შეუნდოთ ყველა ცოდვა, მისცეთ შვება და სიხარული და დაამკვიდროთ სასუფეველში, ამინ!

ნანული (ნანა) გუნია
შენი დედისერთა

შვილი ნანული (ნანა) გუნია, შვილიშვილები ედუარდი, გიორგი, ძმისწულები გელა, დავითი, ნატო, ია, რძლები თამარა, ნანა, ნინო, დეიდაშვილები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები იუწყებიან, რომ 2013 წლის 15 მარტს აბაშის რ-ნის სოფ. მაცხოვრისკარის (განათლებისკარი) სასაფლაოზე 2 საათზე დანიშნულია მერი მიხეილის ასულ ჭანტურიას სამოქალაქო პანაშვიდი.

◎ ინფორმაცია

ცხინვალის ციხეში 12 ქართველი პატიმარია

ცხინვალის ციხეში მყოფი ქართველი პატიმრების სრულ სიას ოსური არასამთავრობო ორგანიზაციები მოგვაწვდიან, – ამის შესახებ ჟურნალისტებს სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა განუცხადა.

ნანუაშვილის თქმით, ინიციატივას ქართველი და ოსი პატიმრების გაცვლის შესახებ ოსური არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან პოზიტიური სიგნალი მოჰყვა. მისი ინფორმაციით, ამ დროისთვის ცხინვალის ციხეში 12 ქართველი იმყოფება.

– ოსური არასამთავრობო ორაგანიზაციები უახლოეს დღეებში მოგვაწვდიან პატიმრების განახლებულ სიას. ყოველთვის, როდესაც მთავრდება საომარი მოქმედებები, ხდება ტყვეების და პატიმრების გაცვლა. ეს პროცესი უნდა მოხდეს საქართველოში და ეს ხელს შეუწყობს ნდობის აღდგენას ქართველ და ოს ხალხს შორის, – განაცხადა ნანუაშვილმა.

მისივე ინფორმაციით, უნდა დაიწყოს მიცვალებულთა გაცვლა და გამოძიება ადამიანებს გაუჩინარების ფაქტებზეც. ნანუაშვილის თქმით, ოსური მხარე ითხოვს რამდენიმე ეთნიკურად ოსის გადასვენებას ცხინვალის რეგიონში.

ომბუდსმენის ინფორმაციით, მსგავსი პროცესი აფხაზეთის მიმართულებით დაწყებული არ არის.

ინტერპრესი

ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრი ღრმა მწუხარებით იუწყება თვალსაჩინო ქართველი მეცნიერის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ

ნოდარ ასათიანის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ისტორიის, ეთნოლოგიის, რელიგიის შესწავლისა და პროპაგანდის სამეცნიერო ცენტრის გამგეობა და თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოვთქვამთ თვალსაჩინო ქართველი მეცნიერის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ

ნოდარ ასათიანის

გარდაცვალების გამო.

თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ყოფილი კათედრის წევრები გრ. აბულაძე, არჩილ გელოვანი, ოთარ ჯანელიძე, ივანე მენთეშაშვილი, ალექსანდრე ნონეშვილი, გიორგი კიკნაძე, ტრისტან მაჭარაშვილი, ლალი ბურდული იუწყებიან ამავე კათედრის გამგის, პროფესორ

ნოდარ ასათიანის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ ოჯახს.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საუკუნემოთეული(დაიბადა 1912 წლის 22 იანვარს) საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, მწერალი, თითქმის მთელი ოთხმოცი წლის მანძილზე ქართული პრესის თვალსაჩინო ავტორი, საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციისა და საქართველოს მწერალთა კავშირის უხუცესი წევრი, ღირსების და შრომის წითელი დროშის ორდენების კავალერი

გიორგი ზაქარიას ძე ბოგველიშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახის წევრებს, კოლეგებსა და მეგობრებს.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ჩვენი გაზეთის ძველი მეგობარი, ქართული ტელევიზიის ერთ-ერთი ფუძემდებელი, მე-7 ტელეარხის დამფუძნებელი და მრავალი წლის მანძილზე უცვლელი დირექტორი, დიდებული ადამიანი

გიორგი მოსეს ძე გაბესკირია

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს. პანაშვიდი 14,15 III, 16 სთ. მისამართი: ს. ჩიქოვანის 20, III სად. გამოსვენება 16 III, 14 სთ. საბურთალოს ამაღლების ეკლესიიდან.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ მილოცვა

ჩვენს ძვირფას მეგობარსა და კოლეგას

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტის 1950 წლის კურსდამთავრებულები ვულოცავთ ჩვენ მეგობარს, საქართველოს დამსახურებულ ინჟინერს, საქართველოს საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსს, საქართველოს მშენებლობის მინისტრს (1973-84 წწ), იუნესკოსა და სახელმწიფო პრემიების ლაურეატს, მრავალი ჯილდოს, მათ შორის საქართველოს ღირსების ორდენის კავალერს **ნოდარ მეძმარიაშვილს** დაბადებიდან 84 წლისთავს და ვუსურვებთ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს თავის საყვარელ მეუღლესთან და დიდ ოჯახთან ერთად.

ნელი გამყრელიძე, ადიკო გვალია, გია გიგიბერია, ანატოლი გეწაძე, იოსებ ლალიაშვილი, ლამარა მასხარაშვილი, ირაკლი მილორავა, მილიცა ნადირაძე, კოტე უჩანეიშვილი, იამზე ფანცხავა, ნათელა ძედია, გუგა ჟოხონელიძე, ნოდარ ჩიბალაშვილი.

◎ ტესტი

გიყვართ ექსტრემი?

ფსიქოლოგებს მიაჩნიათ, რომ ექსტრემისადმი მიდრეკილება დამოკიდებულია ადამიანის ასაკზე, მის კმაყოფილებაზე თავისი სოციალური და ოჯახური მდგომარეობით და... მაყურებელთა ოდენობაზე. და მაინც, ექსტრემალობის საკუთარი დონე შეიძლება გამოვიანგარიშოთ, მაგალითად, თუ გავივლით ამ ტესტს.

1. შეხვალთ გადატვირთულ ლიფტში?
ა) თუ ლიფტი მოძრაობს, მაშასადამე, გაგვიძლებს, შევალ.
ბ) შევალ, როგორც გამონაკლისი.
გ) მიჭირს ისეთი სიტუაციის წარმოდგენა, რომ წავიდე რისკზე.

2. როგორ ფიქრობთ, რატომ ღალატობენ ერთმანეთს დაქორწინებულები?
ა) სურთ ახალი შეგრძნებები.
ბ) სხვები უყვარდებათ.
გ) ჩვენში საერთოდ მორალი მოიკოჭლებს.

3. ეწევით იმიტომ, რომ...
ა) მე ეს მომწონს, იმედი მაქვს, რომ ავადმყოფობები გვერდს ამივლიან.
ბ) მიჭირს თავის დანებება, თუმცა, დაავადებისა მაინც მეშინია.
გ) არ ვეწევი (ან თავი დავანებე), ვინაიდან ვიცი, რამდენად საზიანოა იგი.

4. რა შეგიძლიათ გააკეთოთ, რომ მიიქციოთ იმის ყურადღება, ვინც მოგეწონათ?
ა) გადმოვხტე პარაშუტით.
ბ) შევიცვალო სამუშაო.
გ) ძვირფასი რამ ვაჩუქო მას.

5. ქუჩაში მოგეწონათ კატა ან ძაღლი. რას გააკეთებთ მისთვის?
ა) წავიყვან სახლში.
ბ) წინ დავუდებ საჭმელს.
გ) მაქსიმუმი — ხელს გადავუსვამ.

6. საყვარელი ადამიანი გთავაზობთ — ერთად ჩაიდინოთ რაღაც ექსტრემალური. თქვენ...
ა) სიხარულით დავეთანხმები.
ბ) კარგად დავფიქრდები და შეიძლება ვცადო.
გ) ავიგდებ სასაცილოდ ან სკანდალს მოვუწყობ.

7. სწავლობდით მანქანის წაყვანას...
ა) ადვილად და სწრაფად.
ბ) ძნელად და საკმაოდ დიდხანს.
გ) ეს ძალიან სახიფათოა ჩვენს დღეებში.

8. რამდენადაა სავალდებულო ურთიერთობათა კანონიერი განმტკიცება — პირადულისაც და პროფესიულისაც?
ა) არ არის სავალდებულო, მთავარია, რომ მათში ყველაფერი ხელს გაძლევდეს.
ბ) პროფესიული დაცული უნდა იყოს.
გ) ნებისმიერი მყარი და ხანგრძლივი ურთიერთობანი დოკუმენტურად უნდა იყოს დადასტურებული.

9. გიყვართ კომპანიაში ყოფნა...
ა) სხვადასხვაგვარი ადამიანების სიმრავლეა.
ბ) თანამოაზრეთა შემოწმებული წრეა.
გ) მხოლოდ ყველაზე ახლობლებისა.

10. აირჩიეთ ერთ-ერთი მტკიცება:
ა) „ცხოვრება — ეს საოცარი, განუმეორებელი თავგადასავალია“.
ბ) „ცხოვრება გვჩუქნის სიყვარულს, მაგრამ გვართმევს ილუზიებს“.
გ) „ცხოვრება კარგია, როდესაც ხვალის რწმენა გაქვს“.

დაიანგარიშეთ ქულები ცხრილის გამოყენებით და გაეცანით დასკვნებს

3-დან 47 ქულამდე. თქვენ ბრძანდებით წარმატებული და არ გეშინიათ ექსტრემისა. თუმცა, თავში სათადარიგო ვარიანტიც უნდა გქონდეთ

	1	2	3	4	5	6	7	8	9
ა	5	3	5	4	5	5	2	5	5
ბ	3	2	1	5	1	3	4	4	0
გ	1	0	0	1	0	0	0	0	1

იმ შემთხვევისთვის, თუ შეტევა და თავზეხელაღებულობა არ გამოდის.

18-დან 29 ქულამდე. ნაცნობები თქვენ „მართალ კაცს“ გეძახიან, ეჭვიც არ ეპარებათ, თუ ექსტრემის როგორი მოთხოვნაა თქვენს შეგნებაში. უბრალოდ ბიძგი გჭირდებათ, რაც მიგიყვანთ სარისკო საქციელამდე.

2-დან 17 ქულამდე. თქვენ ან უკვე მოიყირჭეთ ექსტრემალური თამაშები ან არასოდეს გიზიდავდნენ ისინი. თუმცა, ზოგჯერ გეჩვენებათ, რომ ცხოვრებაში გაკლიათ კაშკაშა ფერები.

◎ ანეკდოტები

ჟურნალისტი ინტერვიუს იღებს მილიარდერისგან:
— გვითხარით, რა დაგეხმარათ წარმატების მოპოვებაში?
— იმის რწმენა, რომ ფული კი არ არის მთავარი, არამედ — შრომა.
— და ეს დაგეხმარათ გამდიდრებაში?
— არა, გავმდიდრდი მას მერე, რაც შევძელი ამაში ჩემი ქვეშევრდომების დარწმუნება.

როდესაც ყველაფერი ცუდადაა, გახსოვდეს, რომ შეიძლება შეიქმნას კიდევ უფრო ცუდი ვითარება. იყავი უფრო ოპტიმისტი!..

* * *

აშშ-ს კონგრესმა მიიღო კანონი, რომლის თანახმადაც საჭადრაკო დაფაზე რვა თეთრი პაიკიდან ორი უნდა იყოს შავი, ერთი კი — ცისფერი.

* * *

ვინც ადრე დგება, მთელი დღე მთვარეულივით დადის.

◎ ჩვენი პრესდაიჯესტი

ვაყენებთ ვარსებებთან

უფუნქციოდ დარჩენილი ციხეები, შესაძლოა, გაყიდონ

ამნისტიის კანონის ამოქმედების და რამდენიმე ათასი პატიმრის გათავისუფლების შემდეგ უფლებადამცველთა ნაწილი ციხეების პრივატიზაციაზე ალაპარაკდა. მათი თქმით, უფუნქციოდ დარჩენილი სასჯელაღსრულების დაწესებულებები, შესაძლოა, გაყიდონ. თუმცა, ინფორმაციას არც სასჯელაღსრულების და არც ეკონომიკის სამინისტრო ჯერჯერობით არ ადასტურებენ. უფლებადამცველი დიმიტრი ლორთქიფანიძე „მატროსოვის ციხის“ დაცლის ერთ-ერთ მიზეზად ამ ტერიტორიის პრივატიზაციას ასახელებს და ამბობს, რომ ამ ციხის გასხვისებაზე საუბარი ჯერ კიდევ 2010 წლიდან აქტიურად მიმდინარეობდა. ქალთა ციხის ბუნტის ინსპირირება „მატროსოვზე“ ემსახურებოდა იმას, რომ დაცლილიყო ზონა, გამოეტანათ ეს დაწესებულება პენიტენციარული სისტემიდან და ტერიტორია გაეყიდათ. ამ ტერიტორიაზე თითოეული კვადრატული მეტრი მიწა ძალიან ძვირად ფასობს, — ამბობს დიმიტრი ლორთქიფანიძე.

„რეზონანსი“

საქართველოში თამბაქოს ნაწარმი გაძვირდება?

მედიკოსებს თუ დავუჯერებთ, საქართველოში ყოველწლიურად თამბაქოსგან გამოწვეული დაავადებებით 11 ათასი ადამიანი იღუპება. აქედან 3 ათასი პასიური მოწევის მსხვერპლია. 2010 წლის მონაცემებით, საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით 30 პროცენტი მოიხმარს თამბაქოს. მამაკაცების 55 პროცენტზე და ქალების 5 პროცენტზე მეტი, მწეველია. ყველაზე საგანგაშოდ კი ის მიიჩნევა, რომ მწეველთა უმრავლესობა დღეში საშუალოდ 20 ღერს მოიხმარს, რაც თამბაქოზე მძიმე დამოკიდებულებაზე მიუთითებს. საქართველოს მთავრობას უკვე მზადა აქვს დადგენილების პროექტი, რომელიც თამბაქოს წინააღმდეგ სხვადასხვა ღონისძიებებთან ერთად, მის გაძვირებასაც ითვალისწინებს.

„ახალი თაობა“

სოსო ჯაჭვლიანის სკანდალური განცხადება

საქართველოში დიმიტრი შაშკინის ჩამოსვლასა და ზურაბ ადეიშვილის უკვე დაანონსებულ დაბრუნებას „მიესალმება“, თუმცა, ხელისუფლებისგან დამნაშავე ყოფილი მაღალჩინოსნების უპირობო დასჯას ითხოვს საპარლამენტო უმრავლესობის წევრი, გლდანის მაჟორიტარი დეპუტატი სოსო ჯაჭვლიანი. წინააღმდეგ შემთხვევაში, „ქართულ ოცნებაში“ აღარ დავრჩებიო, ამბობს იგი.

„ვერსია“

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

◎ ფოტოფაქტი



მას შემდეგ, რაც ჩინელი მასწავლებელი გაო ინიუ პენსიაზე გავიდა, იგი ყოველ დილით ვარჯიშობს სუფთა ჰაერზე ამინდისდამიუხედავად. ვარჯიშების კომპლექსის შემდეგ გაო მდინარეში ბანაობს. კაცი 77 წლისაა და მას არანაირი პრობლემა ჯანმრთელობასთან დაკავშირებით არა აქვს.

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ბაშაკიძე 514 33-33-24

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com